პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
კვირა 28 ივნისი
№ 150 (18092)
□
ფასი 2 კაპ.

ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია!

როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის გეგმის შესრულებისათვის, ვადაზე ადრე გაანაღდეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების პირველი ნახევარწლეულის გეგმა.

რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც ერთსულოვნად იწონებენ ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მტკიცედ დგანან მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის ვახტზე და რეალური, პრაქტიკული საქმეებით ასხამენ ხორცს დავალებებს, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა რომ დასახა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და მისი კომპარტიის შექმნის 60 წლის თავის აღსანიშნავად თბილისში გამართულ ზეიმზე გამოსვლებისას.

● ●

როგორც ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის დედაქალაქის მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების პირველი ნახევარწლეულის გეგმა. (საქინფორმი).

მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური შეკრება

27 ივნისს საგარეჯოში გაიმართა მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური შეკრება. შეკრებამ განიხილა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს და მთლიანად ხუთწლეულში საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა მნიშვნელოვანი ამოცანები იმ მითითებათა შესაბამისად, რომლებიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გამოთქვა თბილისში გამართულ ზეიმზე.

შეკრების მონაწილეებს უჩვენეს საქართველოს ტელევიზიის მიერ გადაღებული ფილმი, რომელშიც ასახულია 1981 წლის დიდი რთველისათვის მზადების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ამიტომ ამგვარი შეკრებებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული მოხსენება არ ყოფილა.

შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

შეკრებაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი შ. მ. ეცადაშვილი, სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ მმართველი გ. ი. ლოლაძე, საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი მ. ა. მეზვრიშვილი, საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი მ. ა. ასლანიკაშვილი, სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის მევენახე ლ. ო. ჯავახიშვილი, ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ნ. ა. კობახიძე, თერჯოლის რაიონის რუფოთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი მ. ი. ვერულაშვილი, ახმეტის რაიონის ზემო ხოდაშნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი მ. ა. პეტრიაშვილი, საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ნ. ს. ჩხარტიშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ი. ი. ხუციშვილი, საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ი. შინჯიაშვილი, ვანის რაიონის სოფელ ბზვანის კოლმეურნეობის მევენახე ა. გ. ჩახუნაშვილი, „საქმთავარწყალმშენის“ უფროსი ა. გ. მუსერიძე, „სამტრესტის“ წინანდლის საწარმოო გაერთიანების მთავარი ინჟინერი გ. დ. გუჯეჯიანი, წითელწყაროს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ა. ფიროსმანიშვილი.

შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს ყველა მევენახისა და ღვინის მრეწველობის მუშაკებისადმი.

შეკრების მუშაობაში მონაწილეობდნენ პ. გ. გილაშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. გ. ვარძელაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ლ. ლ. ზაქაიძე, ო. მ. ივანაშვილი, გ. ს. მამაცაშვილი, (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ლობიოს წარმოებისა და შესყიდვის სტიმულირების დამატებითი ღონისძიებების შესახებ

წლინახევრის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ლობიოს წარმოებისა და დამზადების მდგომარეობისა და მათი გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებით დასახული იყო საქართველოს ამ მნიშვნელოვანი და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოებაში ჩამორჩენის დაძლევის კონკრეტული ღონისძიებანი. მაგრამ ზოგიერთმა რაიონულმა, პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელმა ორგანომ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, დამზადების სამინისტროებმა და საქართველოს სსრ სახსოფლტექნიკამ ვერ უზრუნველყვეს დადგენილების შესრულება. კვლავინდებურად დაბალია ამ მნიშვნელოვანი სასურსათო კულტურის მოსავლიანობა, არ იზრდება მისი მთლიანი მოსავლის მოცულობა. ლობიოს შესყიდვის 1980 წლის გეგმა რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს მხოლოდ 47,2 პროცენტით, მთლიანად მეათე ხუთწლედში კი 60,2 პროცენტით.

შარშან განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად იყო ორგანიზებული ლობიოს წარმოება და დამზადება გორის, საგარეჯოს, ხაშურის, თიანეთის, გურჯაანის, სიღნაღის, თელავის, ამბროლაურის, ცაგერისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

სრულიად ვერ არის დამაკმაყოფილებელი ლობიოს მოვლა-მოყვანის მდგომარეობა საზოგადოებრივ მეურნეობებში, სისტემატურად არ სრულდება მისი წარმოებისა და დამზადების გეგმები, დაბალია ამ კულტურაზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონე, რაც, უწინარესად, იმის შედეგია, რომ შესუსტდა დამზადების დისციპლინა, დაქვეითდა მომთხოვნელობა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტებისადმი მათ მიერ დაწესებულ საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის, რაც უარყოფით გავლენას ახდენს რესპუბლიკის სასურსათო ბალანსის ფორმირებაზე.

ლობიოს წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისა და ამ პროდუქციით რესპუბლიკის მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რომლებმაც განიხილეს რესპუბლიკაში ლობიოს წარმოებისა და შესყიდვის სტიმულირების დამატებითი ღონისძიებების საკითხი, დაავალეს საქართველოს კომპარტიის საოლქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, ხილბოსტნეულის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, დამზადების სამინისტროებსა და საქართველოს სსრ სახსოფლტექნიკას განიხილონ თითოეულ რაიონში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ლობიოს წარმოების ჩამორჩენის მიზეზები, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებათა კომპლექსი ამ კულტურის მოსავლიანობისა და მთლიანი მოსავლის გასადიდებლად, სახელმწიფოსათვის მისი მიყიდვის გეგმების შესასრულებლად, აამაღლონ მომთხოვნელობა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობათა ხელმძღვანელების მიმართ ლობიოს მოვლა-მოყვანის აგროტექნიკის, შრომის, საწარმოო, საგეგმო დისციპლინის ზუსტი დაცვისათვის.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ი. ნ. ლომოურის სახელობის მიწათმოქმედების, საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქჯიშთესლმრეწვს“ დაევალათ 1981-1985 წლებში უზრუნველყონ ახალი დიდი პროდუქტიული, საადრეო და გვალვამედეგი ლობიოს ჯიშების შექმნა, რომელთა მოსავლის აღება შეიძლება მექანიზებული წესით, უძლებენ მავნებლებსა და დაავადებებს, აქვთ მაღალხარისხოვანი თესლი, აგრეთვე შეიმუშაონ ამ კულტურის თესვა-მოყვანის პროგრესული ტექნოლოგია რესპუბლიკის ზონალური ნიადაგურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

1981-1985 წლებისათვის დამტკიცებულია გეგმა, რომელშიც მოცემულია დავალება — საზოგადოებრივ მეურნეობებში შეისყიდონ 13.800 ტონა ლობიო წლებისა და რაიონების მიხედვით.

საზოგადოებრივ სექტორში ლობიოს წარმოებისა და შესყიდვის სტიმულირების მიზნით გადაწყდა 1981-1985 წლებში კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს მიეცეთ დანამატი შესასყიდი ფასების 50 პროცენტის ოდენობით მეათე ხუთწლედში მიღწეული სახელმწიფოსათვის ლობიოს საშუალო დონის გადამეტებით მიყიდვისათვის, მთლიანად მარცვლეულის შესყიდვის ამ დონის გადაჭარბების მიუხედავად.

დადგენილია, რომ სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას მარცვლეულის შესყიდვის სახელმწიფო გეგმებს მიიჩნევენ ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, რაიონისა და მეურნეობის მიერ შესრულებულად მხოლოდ იმ პირობით, თუ შესრულდება ლობიოს სახელმწიფო შესყიდვის გეგმა და მთლიანად იქნება უზრუნველყოფილი მეურნეობები ამ კულტურის თესლით (სადაზღვევო ფონდის გათვალისწინებით) საგაზაფხულო თესვისათვის.

კოლმეურნეობებს, მუშებს, მოსამსახურეებსა და სხვა მოქალაქეებს, რომლებმაც მეურნეობებთან ხელშეკრულება დადეს ლობიოს თესვა-მოყვანისა და შესყიდვის შესახებ, დამატებითი მიწის ნაკვეთები ეძლევათ მისი თესვა-მოყვანისათვის როგორც საკარმიდამო მიწების ფონდის, ისე საჭიროების შემთხვევაში, მეურნეობათა მიერ დროებით გამოუყენებელი მიწების ხარჯზე.

დაწესებულია, რომ დადგენილების შესასრულებლად ლობიოს თესვა-მოყვანისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთებიდან მოქალაქეებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი არ დაერიცხებათ.

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს დაევალათ ყოველნაირად დაეხმარონ კოლმეურნეებს, მუშებს, მოსამსახურეებსა და სხვა მოქალაქეებს საკარმიდამო და დამატებით გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე ლობიოს თესვა-მოყვანაში.

დადგენილია აგრეთვე, რომ ხელშეკრულებების მიხედვით კოლმეურნეების, მუშა-მოსამსახურეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ შესყიდულ ლობიოს ეს მეურნეობანი მიჰყიდიან სახელმწიფოს და ეთვლებათ ლობიოს შესყიდვის სახელმწიფო გეგმის შესრულებაში, აგრეთვე ეძლევათ დაწესებული დანამატი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის.

დასახულია აგრეთვე სხვა კონკრეტული ღონისძიებანი რესპუბლიკაში ლობიოს წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ რაიონული პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები, კომუნისტები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მუშაკები, სოფლის მთელი მოსახლეობა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდებიან ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტას — მეთერთმეტე ხუთწლედში გაადიდებენ ლობიოს წარმოებასა და დამზადებას და მკვეთრად გააუმჯობესებენ კვების ამ მნიშვნელოვანი პროდუქტით რესპუბლიკის მშრომელთა მომარაგებას. (საქინფორმი).

დავაჩქაროთ ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი!

რესპუბლიკის ჩაის პლანტაციებში

ხარისხოვანი ჩაის ნედლეულის დამზადება 27 ივნისისათვის (ტონობით)

ავტონომიური რესპუბლიკები და რაიონები	მოკრეფილი იყო 1980 წლის სათანადო დღისათვის	1981 წლის სათანადო დღისათვის მოკრეფილია	— +
ხელვაჩაურის	7.923	9.075	+ 1.152
ქობულეთის	17.778	17.293	— 485
ქედის	552	557	+ 5
სულ აჭარაში	26.253	26.925	+ 672
გალის	20.017	16.497	— 3.520
ოჩამჩირის	15.021	12.429	— 2.592
სოხუმის	340	316	— 24
გულრიფშის	1.277	1.177	— 100
გუდაუთის	2.758	2.956	+ 198
სულ აფხაზეთში	39.311	33.302	— 6009
მახარაძის	41.412	33.494	— 7.918
ზუგდიდის	25.382	22.236	— 3.146
ლანჩხუთის	11.159	10.451	— 708
წალენჯიხის	12.148	10.190	— 1.958
გეგეჭკორის	10.646	9.133	— 1.513
ჩხოროწყუს	9.768	8.903	— 865
ჩოხატაურის	6.065	5.611	— 454
ცხაკაიას	5.298	4.766	— 532
წყალტუბოს ზონა	5.051	4.613	— 438
ხობის	4.446	4.504	+ 58
წულუკიძის	4.253	4.287	+ 34
ტყიბულის ზონა	4.804	3.425	— 1.379
სამტრედიის	1.413	1.344	— 69
ჭიათურის ზონა	507	505	— 2
თერჯოლის	574	490	— 84
ვანის	480	464	— 16
აბაშის	391	428	+ 37
სულ საქართველოს სსრ-ში	209.358	185.071	— 24.287

საწარმოო გაერთიანება „საქჩაის“ მონაცემებით, 26 ივნისს რესპუბლიკაში დამზადდა 6.067 ტონა ჩაის ფოთოლი, შარშან ამ დღეს კი მოიკრიფა 5.042 ტონა ფოთოლი. ამასთან ბევრ რაიონში დღითი დღე ამცირებენ შარშანდელთან შედარებით ჩაის ფოთლის კრეფაში არსებულ განსხვავებას. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ბოლო დღეებში მოიმატა ჩაის ნედლეულის დამზადების ტემპმა. ამ მხრივ სამაგალითოდ ირჯებიან ხელვაჩაურის, გუდაუთის, წულუკიძის, ხობისა და აბაშის რაიონების მეჩაიეები, რომლებმაც შარშანდელ დონეს გაუსწრეს.

ფოთლის კრეფის ტემპის დაჩქარებასთან ერთად მეჩაიეთა ამოცანაა მთელი გულისყურით მოეკიდონ ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესების საქმეს.

დაე, საქართველოში მორალური ატმოსფერო მუდამ ისეთივე წმინდა იყოს, როგორიც ჩვენებური მთის ჰაერია!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა საქართველოს საბჭოთა მილიციის 60 წლის თავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე 1981 წლის 26 ივნისს

ძვირფასო ამხანაგებო!

ძვირფასო სტუმრებო!

დღეს ჩვენს კალენდარზე კვლავ მოჩანს ციფრი „60“.

თვეზე ცოტა მეტი ხნის წინათ აღვნიშნეთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და მისი კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლის თავი. და აი ახლა, თითქმის ამ სახელოვანი წლისთავის ზეიმობისთანავე, ჩვენ ვდღესასწაულობთ საქართველოს მუშურ-გლეხური საბჭოთა მილიციის 60 წლის თავს.

ცხადია, ეს საიუბილეო თარიღების უბრალო დამთხვევა, შემთხვევითი შეთავსება როდია. მათი კავშირის ფესვი გაცილებით უფრო ღრმად არის გადგმული, და ეს კავშირი ორგანულია, შინაგანი. ამ კავშირის თავიდათავი ის გახლავთ, რომ ერთმა მოვლენამ შვა მეორე, ერთმა მოვლენამ განაპირობა, სიცოცხლე შთაბერა მეორე კანონზომიერ მოვლენას.

საბჭოთა მილიცია საბჭოთა ხელისუფლების პირმშოა. ამასთანავე იგი არის ის სამართალდამცავი ორგანო, რომელიც მოწოდებულია იდგეს ამ ხელისუფლების სადარაჯოზე, როგორც ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ამბობდა, იგი „ხალხის მასისა და მისი ნების პირდაპირი და უშუალო ორგანოა“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ, რესპუბლიკაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ საჭირო გახადა შექმნილიყო საქართველოს საბჭოთა მილიცია, ვინაიდან, თუ კვლავ მოვიშველიებთ ვ. ი. ლენინის სიტყვებს, „ყოველი რევოლუცია მხოლოდ მაშინ ღირს რაიმედ, თუ მას შეუძლია დაიცვას თავი“.

რეგულარულ არმიასთან, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად, მთელ ხალხთან ერთად სახალხო მილიციასაც უნდა დაეცვა რევოლუცია, დაეცვა საქართველოში გამარჯვებული საბჭოთა ხელისუფლება.

ასე გახდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების ღვიძლი საქმე, საყოველთაო-სახალხო, სრულიად სახალხო საქმე. აი, ასე საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე, იმთავითვე შეუდგნენ საქართველოს ბოლშევიკები ჭეშმარიტად სახალხო მილიციის შექმნას, ჩეკისტთა აპარატის განმტკიცებას, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გამარჯვებული პროლეტარიატი, გამარჯვებული ხალხი.

და დღეს, საქართველოს საბჭოთა მილიციის 60 წლის თავის დღესასწაულობის დღეს, მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ მისი ისტორია განუყოფელია მთელი რესპუბლიკის ისტორიისაგან, საბჭოთა ხელისუფლების ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების ისტორიისაგან, წარმატებებისაგან მთელი ამ წლების მანძილზე რომ მიაღწიეს საქართველოს მშრომელებმა ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში სოციალისტურ მშენებლობაში, ახლა კი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაშიც.

და როდესაც წარსულს ვიხსენებთ, გონების თვალს ვავლებთ იმ ძნელბედობის ხანას, როცა ის-ის იყო ისახებოდა ჩვენი სახალხო მილიცია, როცა იგი შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლების წინა ხაზზე გადიოდა, გააფთრებით უტევდა კონტრრევოლუციას, საერთოდ, როცა ვიგონებთ მთელ მის სამოცი წლის ისტორიას, — ჩვენ განსაკუთრებული მიწიწებითა და მადლიერებით ჯეროვან პატივს მივაგებთ ლეგენდარულ ბოლშევიკ-ლენინელებს, რომელთა სახელთანაც არის დაკავშირებული ქართული საბჭოთა მილიციის შექმნა-განვითარება.

და ისევე, როგორც ჩვენი მილიციის მთელი ისტორია, მჭიდროდ, განუყრელად არის დაკავშირებული მთელი რესპუბლიკის საგმირო საქმეებთან და შრომასთან, ისევე ჩვენს დღევანდელ იუბილესაც თითქოს საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავის დღესასწაულის ნათელი ადგას.

ის დღეები ყველა ჩვენგანისათვის ჭეშმარიტად დაუვიწყარი იყო. საიუბილეო ზეიმს განსაკუთრებული ელფერი და მნიშვნელობა მიანიჭა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ჩამოსვლამ და მონაწილეობამ, მისმა გამოსვლებმა თბილისში გამართულ საზეიმო სხდომაზე, იუბილეს აღსანიშნავ დარბაზობაზე და რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან საუბრის დროს.

ლეონიდ ილიას ძემ მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა საქართველოს წარმატებებს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. და დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: ეს ჩვენი მილიციის წარმატებებიც არის.

— **საქართველოში კარგად მიდის საქმე,** — თქვა ლეონიდ ილიას ძემ სკკპ XXVI ყრილობის მუშაობის დღეებში. დღეს კი ჩვენ დავძენთ: კარგად მიდის, იმიტომ, რომ ამ საქმეებში თავისი წვლილი, ღირსეული წვლილი შეაქვს ჩვენს მილიციას.

— **საქმე კარგად მიდის,** — თქვა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თბილისში გამართულ ზეიმზე. და დღეს ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ საქმე კარგად მიგვიდის მნიშვნელოვანწილად იმიტომ, რომ აწყობილად მუშაობს ჩვენი მილიციაც.

— **დღესასწაულმა წარმატებით ჩაიარა!** — ასეთი შეფასება მისცა ჩვენს ზეიმს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, როცა აღნიშნა, რომ ჩვენმა იუბილემ კიდევ ერთხელ საქვეყნოდ ცხადყო, თუ რაოდენ შედუღაბებულნი არიან საბჭოთა ადამიანები, რაოდენ ერთიანია ჩვენი აზრები, საქმენი და ოცნებანი. დღეს ამ სიტყვებს მინდა დავძინო: იმაში, რომ დღესასწაულმა წარმატებით ჩაიარა, თავისი ამაგი მიუძღვის ჩვენს მილიციასაც, ისევე როგორც ყველა ჩვენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლებმაც სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი უზრუნველყვეს მთელი დღესასწაულობის დროს.

დასტურად მოგიყვანთ რესპუბლიკაში ცნობილ ფაქტს, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ტრიბუნიდან ითქვა: ზეიმის ოთხი დღის მანძილზე მილიონიან თბილისში სულ სამი უმნიშვნელო სამართალდარღვევა აღირიცხა. ნეტა ასე ვმუშაობდეთ ყოველთვის!

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ამხ. გ. ი. გვეტაძის მოხსენებაში მკაფიოდ და შთამბეჭდავად არის გაშუქებული მთელი ის 60 წლის გზა, ჩვენმა მილიციამ რომ გამოიარა თავისი ისტორიის მანძილზე. ვფიქრობ, დამეთანხმებით, თუ ვიტყვი, რომ ამ გზის ყველაზე ღირსსახსოვარი ნიშანსვეტია მიმდინარე წელი — როგორც მთელი რესპუბლიკის, ისე მისი მილიციის საიუბილეო წელი, ვინაიდან იუბილეზე ჩვენ, ჩვეულებრივ, შედეგებს ვაჯამებთ ხოლმე.

ყველას განსაკუთრებულ სიხარულს გვანიჭებს ის, რომ ახლანდელ დღესასწაულს ჩვენთან ერთად იზიარებს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი, სოციალისტური შრომის გმირი, არმიის გენერალი ამხანაგი ნიკოლოზ ონისიმეს ძე შჩოლოკოვი.

და სწორედ ამიტომ დღეს მინდა აღვნიშნო, რომ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო დიდ დახმარებას გვიწევს, ნიადაგ ზრუნავს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების განმტკიცებისათვის, მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, რომ ჩვენ მუდამ ვგრძნობთ საკავშირო სამინისტროს ყურადღებასა და მხარდაჭერას.

ნება მიბოძეთ ვისარგებლო მონიჭებული შესაძლებლობით და ჩვენი საზეიმო სხდომის ტრიბუნიდან მოგმართოთ თქვენ, დიდად პატივცემულო ნიკოლოზ ონისიმეს ძევ, ჩვენი ყველაზე წრფელი, კეთილი გრძნობებით, მოგესალმოთ თქვენ როგორც თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეს, ასე რომ იღვწის საბჭოთა მილიციის სახელოვანი ჩეკისტური ტრადიციების განსავითარებლად, შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობისა და ორგანიზაციის ლენინური პრინციპების დასამკვიდრებლად, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საკითხებზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პირადი მითითებების ხორცშესასხმელად.

თქვენი სახელი კარგად არის ცნობილი რესპუბლიკაში. კომუნისტები, ყველა ჩვენი მშრომელი ძალზე დიდად აფასებენ თქვენს ღვაწლს იმ საქმეში, რომ საქართველოში, როგორც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ბრძანა, წარმოებს პრინციპული და უკომპრომისო ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ჩვენმა ამხანაგებმა, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ მათ წინაშე მდგომი პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტას. ვიმედოვნებთ, რომ ისინი კვლავაც სრულყოფენ თავიანთ საქმიანობას, განამტკიცებენ საზოგადოებრიობასთან კავშირს, ყველაფერს იღონებენ, რათა ყველაზე ეფექტიანად ხორციელდებოდეს მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში.

თავისთავად ეს საზოგადოება ხომ იმის მანიშნებელია, რომ დამკვიდრდა ახლებური, ყველაზე სრულყოფილი ადამიანური ურთიერთობა, გაიმარჯვა ჯანსაღმა მორალურ-ფსიქოლოგიურმა კლიმატმა, შეიქმნა ვითარება, რომლის საფუძველიც არის სოციალისტური მართლწესრიგი, მშრომელთა შეგნებული დისციპლინა და აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია, ანუ ყოველივე ის, რასაც ჩვენ ვაქსოვთ საბჭოთა ცხოვრების წესის ცნებაში.

ჩვენ იმედი გვაქვს, დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მილიცია კვლავაც უკომპრომისოდ, შემტევად იბრძოლებს სოციალისტური კანონიერების დარღვევების, ყოველივე იმის აღსაკვეთად, რაც ეწინააღმდეგება საბჭოთა, სოციალისტური ცხოვრების წესს.

მტკიცედ გვწამს, რომ ჩვენი მილიციის, შინაგან საქმეთა ორგანოების მთელი პირადი შემადგენლობა წარმატებით გაართმევს თავს მის წინაშე მდგომ ყველა ამოცანას. ამ რწმენის საფუძველია თვით რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების მთელი აპარატის მუშაობა, რომელიც დღეს გვევლინება მილიციის ვეტერანთა მრავალი წლის გამოცდილებისა და მძიებელ ახალგაზრდათა შემართება-ენერგიის კარგ შენადნობად. ჩვენი მილიცია — ეს არის იდეურად მტკიცე ადამიანთა დიდი, ერთსულოვანი ინტერნაციონალური ოჯახი, რომლებსაც თავიანთ მოწოდებად მიაჩნიათ უანგაროდ ემსახურონ საბჭოთა ხალხს, მზად არიან მთელი თავიანთი ძალებით დაიცვან მშრომელთა ინტერესები. და უფლებები.

ჩვენ სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა მიგვაჩნია იმ საერთო-პარტიული, საერთო-სახელმწიფოებრივი, საერთო-სახალხო ბრძოლის ორგანულ შემადგენელ ნაწილად, რომელსაც ვეწევით ყველგან და ყველაფერში სანიმუშო დისციპლინის დასამყარებლად, სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებისაგან, კომუნისტური მორალისა და ზნეობის წესებისაგან ყველა და ყოველგვარი გადახრის აღსაკვეთად. აი, რატომ ვამბობთ, მილიციის ორგანოების მუშაობა ძალზე დიდი პარტიული, სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეაო.

ახევე დიდი პარტიული მნიშვნელობის საქმეა ზრუნვა იმისათვის, რომ შინაგან საქმეთა ორგანოები განვამტკიცოთ შემოწმებული კადრებით, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი პრაქტიკულ მუშაობაში. ეს ზრუნვა პარტიული კომიტეტების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზრუნავია. აი რატომ გვმართებს კვლავაც ყოველნაირად განვავითაროთ სასიკეთო ტრადიცია — შევმატოთ მილიციის რიგებს ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის, ჩვენი კომკავშირის, ჩვენი პარტიის საუკეთესო წარმომადგენლები.

ახლა უკვე აღარ არის საჭირო ვინმესთვის იმის მტკიცება, რომ სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის წარმატების საწინდარია ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობა. ახლა ამოცანა ის არის, რომ ეს პარტიული ხელმძღვანელობა **უაღრესად კონკრეტული და უაღრესად სისტემური იყოს.**

საჭიროა ზუსტად შემუშავებული სისტემა რესპუბლიკური მასშტაბით და ადგილებზე, სისტემა, რომელიც გაითვალისწინებს სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის, მისი თავიდან აცილების პრაქტიკულ ღონისძიებებს, აღმზრდელობითი ზემოქმედების ზომებსა და შესაბამის სასჯელს ჩადენილი დანაშაულისათვის.

ასეთი სისტემა ჩვენში ყალიბდება, და ახლა ამოცანა ის არის, რომ სრულვყოთ, დავხვეწოთ იგი, მივაღწიოთ, რომ ყოველ ქალაქსა და თითოეულ რაიონში პარტიული კომიტეტები სწვდებოდნენ საქმის არსს, სამართალდამცავი ორგანოების, მილიციის ორგანოების ყოველდღიურ პრაქტიკას.

მხოლოდ ამ პირობით თუ უზრუნველვყოფთ ეფექტიან მუშაობას რესპუბლიკასა და მის ყველა რეგიონში საზოგადოებრივი წესრიგის შემდგომი განმტკიცებისათვის, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შემდგომ გაჯანსაღებასა და საყოველთაო დამკვიდრებას.

ჩვენ კვლავაც უნდა განვაგრძოთ მუშაობა შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკის სოციალისტური ყაიდის პიროვნების ჩამოსაყალიბებლად და დასამკვიდრებლად, რათა ეს იყოს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეალებისადმი უსაზღვროდ ერთგული კომუნისტი, ინტერნაციონალისტი და პატრიოტი, სპეტაკი ზნეობისა და მაღალი პროფესიული კულტურის ადამიანი, თავისი საქმის საუცხოო მცოდნე, აქტიური და შეგნებული მებრძოლი კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

დაე, მილიციის თითოეულ მუშაკს მტკიცედ ჰქონდეს შეგნებული: **ნამდვილი პროფესიონალი მხოლოდ მაშინ გახდები, თუ ნიადაგ ზრუნავ შენი იდეური ზრდისათვის, შენი პოლიტიკური წრთობისათვის, თვალსაწიერის გაფართოებისათვის, ზოგადი კულტურის ამაღლებისათვის, შრომის კულტურის, მუშაობის კულტურის, ქცევის კულტურის, ადამიანებთან, მოქალაქეებთან ურთიერთობისა და თავდაჭერის კულტურის ჩვევების გამომუშავებისათვის.** ანუ საქმე ეხება საკუთარი თავის სრულყოფის განუწყვეტელი პროცესის აუცილებლობას. შეჩერდი ამ პროცესში — ნიშნავს ჩამორჩე, ხოლო ჩამორჩენილ კაცს არაფერი ესაქმება მილიციის ორგანოებში. აქ უნდა მუშაობდნენ ჩვენი საზოგადოების მხოლოდ ყველაზე მოწინავე ადამიანები!

ჩვენ მწვავედ და პრინციპულად უნდა ვიბრძოლოთ ადმინისტრაციული ორგანოების, შინაგან საქმეთა ორგანოების კადრების სიწმინდისათვის. **სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის მაღალი ზნეობრივი სახე — ეს მარტოდენ იმის გარანტია როდია, რომ მას წარმატება**

(დასასრული მე-2 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაე, საქართველოში მორალური ატმოსფერო მუდამ ისეთივე წმინდა იყოს, როგორიც ჩვენებური მთის ჰაერია!

(დასასრული)

ექნება როგორც პროფესიონალს, — ნამდვილი პროფესიონალი კი უნდა გახდეს თითოეული. ეს გახლავთ ჩვენი სოციალისტური მართლწესრიგის ფუძემდებელი პრინციპების ურყევობის დამკვიდრება, ეს გახლავთ სოციალური სამართლიანობისადმი მშრომელთა რწმენის განმტკიცება. მილიციის ორგანოებში არამც და არამც არ უნდა გავაჭაჭანოთ ფორმალიზმი და უსულგულობა ადამიანთა ბედისადმი, ბიუროკრატიზმის, უხეშობისა და მომხვეჭელობის, მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტები.

შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობაში საჭიროა ნიადაგ ვამკვიდრებდეთ მუშაობის ჭეშმარიტად ლენინურ სტილს, ყოველნაირად ვუჭერდეთ მხარს მასების აქტიურობასა და ინიციატივას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის ბრძოლაში. ჩვენ მუდამ უნდა ვითვალისწინებდეთ საზოგადოებრივ აზრს, რომელიც მშრომელთა ინტერესებისა და საზრუნავის, ფიქრების, მისწრაფებებისა და განწყობილების განმსაზღვრელი უზუსტესი ბარომეტრია. კიდევ უფრო მეტად განვამტკიცოთ მილიციის კავშირი მუშათა კლასთან, კოლმეურნე გლეხობასთან, სახალხო ინტელიგენციასთან — ეს ჩვენი უცვლელი, წარუვალი ამოცანაა.

ერთი გახედეთ, რამდენი სახელოვანი ადამიანი შეკრებილა ამ დარბაზში! ზოგიერთი მათგანი გურამ ივანეს ძე გვეტაძემ დაასახელა, მაგრამ ყველას რა ჩამოთვლიდა! აი, მესამე რიგში ვხედავთ რესპუბლიკაში ერთ-ერთ ყველაზე პატივცემულ ადამიანს — ვიქტორ დიმიტრის ძე კუპრაძეს. ეს მხცოვანი მეცნიერი, დიდი საზოგადო მოღვაწე, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის ერთ-ერთი ფუძემდებელი გახლავთ. აქვე სხედან სხვა ამხანაგებიც: საბჭოთა კავშირის გმირი, სტუდენტი ახალგაზრდობის ცნობილი აღმზრდელი დ. ვ. ჯაბიძე, პროფესორი ნ. შ. ვასაძე, სოციალისტური შრომის გმირი, წარმოების სახელმოხვეჭილი ნოვატორი ზ. გ. სარალიძე, პროფესორი ს. მ. ჯორბენაძე და მრავალნი სხვანი. ისინი ბევრს იღვწიან, რათა რესპუბლიკაში ჯეროვანი საზოგადოებრივი წესრიგი სუფევდეს.

მაგონდება მართლაცდა საოცარი ადამიანი, საბჭოთა მეცნიერების ერთ-ერთი კორიფე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამაარსებელი აკადემიკოსი ნიკოლოზ ივანეს ძე მუსხელიშვილი. როცა ბატონ ნიკოლოზს საქართველოს საპატიო მილიციელის სამკერდე ნიშანი გადასცეს, მან თქვა, ბედნიერი ვარ და ვამაყობ, რადგან მთელ დედამიწის ზურგზე არ მეგულება მეცნიერებათა აკადემიის სხვა პრეზიდენტი, ასეთი წოდება რომ ჰქონდესო. და ეს სიტყვები მან სრულიად გულწრფელად თქვა.

ამავე დროს ჩვენს მოვალეობად ვრაცხთ **ყოველდღიურად ვიჩენდეთ მზრუნველობას მილიციელის ძნელი შრომის მიმართ,** რომელიც ხიფათთან არის დაკავშირებული და ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების სრულ დაძაბვას, მისი გამოცდილებისა და ცოდნის კონცენტრაციას მოითხოვს. აი, რად არის საჭირო ყველაფერი ვიღონოთ მილიციის მუშაკთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, ნიადაგ განვამტკიცოთ შინაგან საქმეთა ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სრულვყოთ მათი საქმიანობა.

კარგად ეხმარება ჩვენს მილიციას თბილისის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. დ. გაბუნია, რომელიც აქ გამოვიდა. ოღონდ, ცუდი ის არის, რომ მას არაფერი უთქვამს იმაზე, თუ როგორ იზრუნებს შემდგომში ქალაქის მილიციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად და ქალაქის შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

როცა თბილისში გამართულ სხდომაზე ლეონიდ ილიას ძემ თქვა, **წინ ყველას დიდი, დაძაბული სამუშაო მოგველისო,** ეს ნიშნავს, რომ ასეთი სამუშაო მოელით რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მუშაკებსაც, ჩვენი მილიციის მუშაკებსაც.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები, — ეს არის თითოეული კომუნისტის, ყველა მშრომელის ცხოვრებისა და ბრძოლის მკაფიო და ზუსტი პროგრამა, რომელშიც ჩამოყალიბებულია რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანები. ამ ამოცანების პრაქტიკული რეალიზაცია მოითხოვს აბსოლუტურ მობილიზებას, ყველასა და ყოველის შემდგომ შეკავშირებას. ამასთან დაკავშირებით ახალი, პასუხსაგები ამოცანები დგება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მუშაკების წინაშეც.

რაკი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ბრძანა, **საჭიროა კვლავაც დაუცხრომლად იზრუნოთ იმისათვის, რომ მორალური ატმოსფერო საქართველოში ისეთივე კამკამა იყოს, როგორიც თქვენი მთის ჰაერიაო,** — მაშასადამე, ეს ჩვენი საერთო ამოცანაა, ეს ჩვენი საერთო საზრუნავია, და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების, თითოეული მუშაკის ღირსების საქმეა იყვნენ ამ უმაღლესი ამოცანის მოწოდების დონეზე.

ამის მისაღწევად კი დიდი, გულმოდგინე მუშაობა გვმართებს. მიზნად უნდა დავისახოთ: **შინაგან საქმეთა ორგანოებში, სოციალისტური კანონიერების ორგანოებში, რომლებიც ხალხისათვის სამართლებრივი ნორმების, ჰუმანურობისა და სამართლიანობის განუხრელი დაცვის სინონიმი, ეტალონი უნდა იყოს, არ უნდა გავაჭაჭანოთ რაიმე დარღვევები და გადახრები, და მით უმეტეს, სერიოზული ნაკლოვანებანი, სერიოზული ხარვეზები.**

მეტად პასუხსაგები, ფრიად რთული ამოცანები დგას რესპუბლიკის წინაშე მეთერთმეტე ხუთწლედში. ეს ამოცანები განსაზღვრულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალი, მეექვსე, ფუნდამენტური დადგენილებით ჩვენი რესპუბლიკის თაობაზე, სწორედ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის, იმ პლენუმის წინ რომ იქნა მიღებული, რომელმაც განიხილა **რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანები თბილისში გამართულ ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების შესაბამისად.**

„საქართველოს სსრ პარტიული ორგანიზაციის საქმიანობისა და სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ მიღებული ეს გადაწყვეტილება განსაზღვრავს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ახალ, უფრო მაღალ მიჯნებს. და ჩვენმა პლენუმმა გამოთქვა კომუნისტების, ყველა მშრომელის მზადყოფნა — რადაც უნდა დაუჯდეთ, დალაშქრონ ეს მიჯნები, დალაშქრონ ეს მწვერვალები.

ამ დღეებში პარტიულ ორგანიზაციებში, ყველა შრომით კოლექტივში მიმდინარეობს ჩვენი პლენუმის შედეგების მხურვალე, გაცხოველებული განხილვა, კომუნისტები ყველგან ამუშავებენ კონკრეტულ გზებს, ფორმებსა და მეთოდებს, თუ როგორ შეასხან ხორცი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ ახალი დადგენილებით დასახულ ყველა ღონისძიებას, როგორ შეასრულონ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ დასახული ამოცანები.

მთელი ეს მუშაობა უნდა განამტკიცონ ჩვენმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმაც, უწინარეს ყოვლისა, შინაგან საქმეთა ორგანოებმა, რომლებიც მოწოდებული არიან კვლავაც პრინციპულად, შეურიგებლად იბრძოლონ სოციალისტური კანონიერებისა და ზნეობის ნორმებისაგან ყოველგვარი გადახვევის წინააღმდეგ, უზრუნველყონ სიტყვისა და საქმის ერთიანობა, კანონის ფორმისა და შინაარსის ერთიანობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ჩვენ ვთქვით, რომ რესპუბლიკის პარტორგანიზაციის ცხოვრებასა და მუშაობაში **ახალი ეტაპი დადგა. თვისებრივად ახალი ეტაპი უნდა დადგეს ჩვენი მილიციის მუშაობაშიც. დაე, ეს ეტაპი მოასწავებდეს კიდევ უფრო მტკიცე, კიდევ უფრო შეუპოვარ ბრძოლას ყველა ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ.**

ახლა უკვე ცხადზე უცხადესია, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, იმ პერიოდში, როცა განუზომლად გაიზარდა მშრომელთა სოციალური აქტიურობა და ესოდენ სწრაფად მატულობს მათი სულიერი მოთხოვნილებანი და საჭიროებანი, **წინა პლანზე დგება იმის საჭიროება, რომ მეცნიერულად მივუდგეთ სოციალისტური მართლწესრიგის უზრუნველყოფის ამოცანების გადაწყვეტას.** უნდა გავაფართოოთ დამნაშავეობის მიზეზების მეცნიერული კვლევა და შესწავლა, შევიმუშაოთ სამართალდარღვევათა თავიდან აცილების კონკრეტული მეცნიერული რეკომენდაციები მარქსისტულ-ლენინური სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის მიღწევათა საფუძველზე.

მუდამ გრძნობდნენ ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მაჯისცემას— ასეთია ყველა ჩვენი სამართალდამცავი ორგანოს მუდმივი ამოცანა.

თბილისში გამოსვლისას ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ბრძანა, **გადაწყვეტილებათა ავტორიტეტს უნდა ვუფრთხილდებოდეთო,** თანაც ხაზი გაუსვა: საჭიროა კვლავაც ვადევნოთ თვალი იმას, რომ მიღებული გადაწყვეტილებანი ჯეროვნად სრულდებოდეს — რესპუბლიკაშიც და ცენტრშიც, უკანასკნელ ხანს ჩვენ ბევრი დადგენილება მივიღეთ ადმინისტრაციული ორგანოების, მათ შორის მილიციის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე. საჭიროა ვუფრთხილდებოდეთ ამ გადაწყვეტილებათა ავტორიტეტსაც, ვიღწვოდეთ მათი სრული ხორცშესხმისათვის, რეალურ, პრაქტიკულ საქმეებად გადაქცევისათვის.

ამასთანავე **უნდა ვუფრთხილდებოდეთ საკუთარ ავტორიტეტსაც,** ჩვენი დაწესებულების, ჩვენი პარტიული ორგანიზაციის, ჩვენი ორგანოს, მათ შორის **ქართული საბჭოთა მილიციის ავტორიტეტს, მისი თანამშრომლის ავტორიტეტს.** მაგრამ ავტორიტეტი თავისთავად როდი მოდის. იგი უნდა მოიპოვო. მოიპოვო შეუპოვარი და ბეჯითი შრომით, მოიპოვო კარგი საქმეებით, უკეთ მუშაობის, მეტის მიღწევისადმი მისწრაფებით.

ნება მიბოძეთ, დღეს გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ **სწორედ ასეთი და მხოლოდ ასეთი ადამიანები იქნებიან ქართული საბჭოთა მილიციის მუშაკები, რომ ისინი ყველაფერს იღონებენ, რათა მათი მუშაობა მაქსიმალურად ეფექტიანი იყოს, რათა ყოველი დანაშაული ჯეროვნად იქნეს გამოძიებული და დამნაშავეებს საკადრისი სასჯელი დაედოთ.** ამ საქმეში, როგორც ლეონიდ ილიას ძემ აღნიშნა, მართლწესრიგის დამცველ ორგანოებს უზრუნველყოფილი ექნებათ პარტიული ორგანიზაციებისა და მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის სრული მხარდაჭერა.

როცა საქმე ეხება ასეთ სრულ მხარდაჭერას, მაშინ იგულისხმება კომპლექსური, სწორედ რომ კომპლექსური მიდგომა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებისადმი.

უზრუნველყო მართლწესრიგის დამცველი ორგანოების სრული მხარდაჭერა, ეს ნიშნავს, ერთი მხრივ, **გამოიჩინო უზენაესი ჰუმანიზმი, უზენაესი მზრუნველობა და უაღრესი ყურადღება ყოველი მოქალაქის მიმართ.** სწორედ უმაღლესი ჰუმანური პრინციპები გვიკარნახებს ყველაფერი ვიღონოთ საიმისოდ, რომ ადამიანს ფეხი არ დაუცდეს, არ დაადგეს მრუდე გზას, რათა არ დავუშვათ მისი მორალური, ზნეობრივი, იდეური დაცემა. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა შევუნარჩუნოთ ადამიანი საზოგადოებას, ოჯახს, მეგობრებს, ახლობელ-ნათესავებს.

და ყოველი ფაქტი, როცა ადამიანი ხელიდან ეცლებათ გარეშემო მყოფთ, ჩვენ ძალზე გვაფიქრებს, გვაწუხებს და გულს გვტკენს. ძალზე გვაღონებს ყოველი ისეთი შემთხვევა, როცა ხელისუფლება იძულებულია მიმართოს უკიდურეს ზომას — წაართვას ადამიანს თავისუფლება, საზოგადოებაში, მეგობრობის, ძმობისა და თანასწორობის საზოგადოებაში ცხოვრების თავისუფლება.

ამიტომ ჩვენი მთავარი ამოცანაა ვიხსნათ ადამიანი, არ მივიყვანოთ საქმე ტრაგიკულ დასასრულამდე. და როცა საქმე ეხება ადამიანის ბედს, ეს მიაჩნია თავის მთავარ ამოცანად მთელ ჩვენს სახელმწიფო მექანიზმს, ეს მიაჩნია თავის მთავარ ამოცანად ჩვენს ლენინურ პარტიას.

აქედან გამომდინარეობს ზეამოცანა: **სულ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღმზრდელობითი ფუნქციები, თვით მილიციის აღმზრდელობითი ფუნქცია.**

ჩვენ უკვე ვთქვით, რაოდენ განუზომლად მატულობს ჩვენი მილიციის როლი და პასუხისმგებლობა იმ ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც განსაზღვრულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში თბილისში გამართულ ზეიმზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალ დადგენილებაში საქართველოს შესახებ; აქ მინდა ხაზი გავუსვა, რომ ეს პასუხისმგებლობა უნდა იყოს **მაქსიმალურად კონკრეტული ჩვენი მუშაობის ყოველ კონკრეტულ უბანზე.** ეს კი ნიშნავს, რომ მილიციის თითოეული მუშაკი ნათლად უნდა ხედავდეს თავის ადგილს და მკაფიოდ ესმოდეს თავისი როლი, თავისი დანიშნულება, უწინარეს ყოვლისა, — იმ მიზეზების აღმოფხვრაში, რომლებიც წარმოშობენ სამართალდარღვევებს და დანაშაულობებს.

ეს, როგორც უკვე ითქვა, საქმის ერთი მთავარი მხარეა.

მეორე მხარე ის გახლავთ, — და ეს უნდა დავიხსომოთ, დავიხსომოთ მტკიცედ, რომ აღმზრდელობით ღონისძიებათა მთელი კომპლექსის წარმატებით განხორციელებისათვის, შესაძლო სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის, ასე ვთქვათ, „დიდი პროფილაქტიკის“ მთელი სისტემის რეალიზაციისათვის **საჭიროა ბოროტებასთან პრინციპული, უკომპრომისო ბრძოლის მტკიცე და საიმედო ფონი.**

პრობლემა კეთილისა და ბოროტისა — ოდინდელი პრობლემაა, კაცობრიობას რომ აწუხებს, და ჩვენ სულ უფრო მეტად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ბოროტების, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში საჭიროა არა მარტო ჰუმანური გული, არამედ აგრეთვე მტკიცე ხელი და ძლიერი ნებისყოფა. დაე, არც ერთი სამართალდარღვევა, არც ერთი დანაშაული არ დაგვრჩენოდეს გაუხსნელი და დაუსჯელი.

ჩვენ იმ კანონების უმკაცრეს დაცვას მოვითხოვთ, რომლებიც თანამიმდევრულად და განუხრელად იცავენ საბჭოთა მოქალაქეების უფლებებს. ამასთანავე ჩვენ მიგვაჩნია, რომ არამც და არამც არ უნდა შესუსტდეს საბჭოთა კანონების დამსჯელი პრაქტიკა, დამსჯელი ძალა.

ჩვენ ამ პრობლემის ორ მხარეზე ვლაპარაკობთ მთელი მგზნებარებით, ვინაიდან **ჭეშმარიტი დემოკრატია, სოციალისტური დემოკრატია, ჩვენი სოციალისტური ჰუმანიზმი შეიძლება არსებობდეს, ვითარდებოდეს და ყვაოდეს მხოლოდ საზოგადოების უმაღლესი ორგანიზაციის პირობებში, ყველა დონეზე, ყველა რგოლში უმკაცრესი დისციპლინის პირობებში, მხოლოდ ისეთ პირობებში, როცა ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქე უცილობლად ასრულებს საბჭოთა კანონების მოთხოვნებს.**

ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენთვის ზნეობრივი, ჰუმანური და დემოკრატიულია ყოველივე ის, რაც კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებს, ხალხის ინტერესებს ემსახურება. და თუ ის, რაც ჰუმანურია მხოლოდ ცალკე აღებული პიროვნების მიმართ, ანტიჰუმანურად გვევლინება საერთოდ მთელი საზოგადოების მიმართ, მაშინ **ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ჰუმანიზმის ასეთი ვიწრო გაგებისა, რომელსაც კომუნისტური ჰუმანიზმისა, სოციალისტური ჰუმანიზმისა არაფერი სცხია.**

ჩვენ ისეთი ატმოსფეროს შექმნა გვწადია, რომელშიც პატიოსანი მოქალაქე ლაღად იგრძნობს თავს, წელგამართული იქნება, რომელშიც ალალმართალ ადამიანს შეეძლება თავისუფლად იმუშაოს და იღვაწოს, არ აშინებდეს და არ აეჭვებდეს დღევანდელი დღე, იმედიანად შეჰყურებდეს ხვალინდელ დღეს.

რაც შეეხება ისეთ დამნაშავეს, რომელზეც საზოგადოებრიობის ზემოქმედება არ ჭრის, მე ხაზს ვუსვამ, არ ჭრის-მეთქი, რომელიც ვერ გამოგვისწორებია და ვერ აღგვიზრდია, იგი საბჭოთა კანონის გარდაუვალი მსახვრალი ძალის, ჩვენი საზოგადოებრიობის ძალის წინაშე უნდა კანკალებდეს.

დასასრულ მინდა, ძვირფასო ამხანაგებო, ამ საიუბილეო დღეებში სულითა და გულით გადავუხადო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების მთელ მრავალათასიან რაზმს წრფელი და მხურვალე მადლობა იმისათვის, რომ ეწევიან ესოდენ საპატიო, ძნელსა და გმირულ სამსახურს — იცავენ საზოგადოებრივ წესრიგს, განამტკიცებენ სოციალისტურ კანონიერებას, მადლობა ვუთხრა დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დაცვის საქმეში თავდადებული შრომისათვის.

ხალხს, პარტიას, სახელმწიფოს უყვართ თავიანთი მილიცია, პატივს სცემენ და აფასებენ მას.

ნება მიბოძეთ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით მხურვალედ მოგილოცოთ ქართული საბჭოთა მილიციის 60 წლის თავი. სულითა და გულით გისურვებთ ახალ სახელოვან წარმატებებს თქვენს ძნელსა და უაღრესად კეთილშობილურ მუშაობაში, იხარეთ და იბედნიერეთ თქვენს ოჯახებთან, თქვენს კოლექტივებთან, მთელ საბჭოთა მილიციასთან ერთად.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. უცხოელი მოქალაქენი სსრ კავშირში

სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეებად ცნობენ იმ პირთ, რომლებიც არ არიან სსრ კავშირის მოქალაქეები და აქვთ იმის მტკიცებულებანი, რომ უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქეობას ეკუთვნიან.

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად უცხოელ მოქალაქეებს სსრ კავშირში გარანტირებული აქვთ კანონით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები.

მუხლი 2. კანონმდებლობა სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ

სსრ კავშირის კანონმდებლობა სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეთა მდგომარეობის შესახებ შედგება ამ კანონისა და სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავენ სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეთა უფლებრივ მდგომარეობას.

მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობა წყვეტს უცხოელ მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხებს, რომლებიც მის განმგებლობას არის მიკუთვნებული სსრ კავშირის კანონმდებლობით და მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციით.

სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობა შეიძლება განისაზღვრებოდეს აგრეთვე სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა საფუძველზე.

მუხლი 3. სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობის პრინციპები

უცხოელი მოქალაქენი სსრ კავშირში სარგებლობენ იგივე უფლებებითა და თავისუფლებებით და დაკისრებული აქვთ იგივე მოვალეობა, რაც სსრ კავშირის მოქალაქეებს, თუ სხვა რამ არ გამომდინარეობს სსრ კავშირის კონსტიტუციიდან, ამ კანონიდან და საბჭოთა კანონმდებლობის სხვა აქტებიდან.

უცხოელი მოქალაქენი სსრ კავშირში თანასწორნი არიან კანონის წინაშე წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის და სხვა გარემოებების მიუხედავად.

იმ სახელმწიფოთა მოქალაქეების მიმართ, რომლებშიც შემოღებული აქვთ სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების სპეციალური შეზღუდვები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეიძლება დააწესოს საპასუხო შეზღუდვები.

სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეთა მიერ უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება არ უნდა ვნებდეს საბჭოთა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს, სსრ კავშირის მოქალაქეთა და სხვა პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

მუხლი 4. სსრ კავშირის კონსტიტუციის პატივისცემისა და საბჭოთა კანონების დაცვის მოვალეობა

სსრ კავშირში უცხოელი მოქალაქეებისათვის მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება განუყოფელია მათ მიერ იმ მოვალეობათა შესრულებისაგან, რომლებიც საბჭოთა კანონმდებლობით არის დადგენილი.

სსრ კავშირში მყოფი უცხოელი მოქალაქენი მოვალენი არიან პატივს სცემდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციას და იცავდნენ საბჭოთა კანონებს, პატივისცემით ეკიდებოდნენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, საბჭოთა ხალხის ტრადიციებს და წესჩვეულებებს.

მუხლი 5. სსრ კავშირში მუდმივ მცხოვრები და დროებით მყოფი უცხოელი მოქალაქენი

უცხოელ მოქალაქეებს შეუძლიათ მუდმივად ცხოვრობდნენ სსრ კავშირში, თუ მათ აქვთ საამისო ნებართვა და საბინადრო მოწმობა, რომლებიც გაცემულია შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ.

უცხოელი მოქალაქენი, რომლებიც სსრ კავშირში სხვა კანონიერ საფუძველზე იმყოფებიან, ითვლებიან სსრ კავშირში დროებით მყოფებად. ისინი მოვალენი არიან დადგენილი წესით გაატარონ რეგისტრაციაში თავიანთი საზღვარგარეთული პასპორტები ან მათი შემცვლელი დოკუმენტები და გაემგზავრონ სსრ კავშირიდან მათთვის განსაზღვრული ყოფნის ვადის გასვლის შემდეგ.

მუხლი 6. თავშესაფრის მიცემა

სსრ კავშირი და მოკავშირე რესპუბლიკები თავშეფარების უფლებას აძლევენ უცხოელ მოქალაქეებს, რომლებსაც დევნიან მშრომელთა ინტერესებისა და მშვიდობის საქმის დაცვისათვის, რევოლუციურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობისათვის, პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეცნიერული ან სხვაგვარი შემოქმედებითი საქმიანობისათვის.

თავშესაფრის მიცემის საკითხს წყვეტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ან მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

II. სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეთა ძირითადი უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობანი

მუხლი 7. შრომითი საქმიანობა

სსრ კავშირში მუდმივად მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს შეუძლიათ იმუშაონ მუშებად და მოსამსახურეებად საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, ან მისდიონ სხვაგვარ შრომით საქმიანობას სსრ კავშირის მოქალაქეებისათვის დადგენილ საფუძველზე და წესით.

სსრ კავშირში დროებით მყოფ უცხოელ მოქალაქეებს შეუძლიათ მისდიონ შრომით საქმიანობას სსრ კავშირში, თუ ეს შეეფერება სსრ კავშირში მათი ყოფნის მიზნებს.

უცხოელი მოქალაქენი არ შეიძლება დაინიშნონ ცალკეულ თანამდებობებზე ან მისდევდნენ გარკვეულ შრომით საქმიანობას, თუ საბჭოთა კანონმდებლობის შესაბამისად ამ თანამდებობებზე დანიშვნა ან ასეთი საქმიანობა დაკავშირებულია სსრ კავშირის მოქალაქეობასთან.

უცხოელი მოქალაქენი სარგებლობენ უფლებებით და აკისრიათ მოვალეობანი შრომით ურთიერთობაში სსრ კავშირის მოქალაქეთა თანაბრად.

მუხლი 8. დასვენება

სსრ კავშირში მყოფ უცხოელ მოქალაქეებს აქვთ დასვენების უფლება სსრ კავშირის მოქალაქეებთან საერთო საფუძვლებზე.

მუხლი 9. ჯანმრთელობის დაცვა

სსრ კავშირში მყოფ უცხოელ მოქალაქეებს აქვთ ჯანმრთელობის დაცვის უფლება.

სსრ კავშირში მუდმივად მცხოვრები უცხოელი მოქალაქენი სარგებლობენ სამედიცინო დახმარებით სსრ კავშირის მოქალაქეთა თანაბრად.

სსრ კავშირში დროებით მყოფ უცხოელ მოქალაქეებს სამედიცინო დახმარება გაეწევათ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 10. სოციალური უზრუნველყოფა

სსრ კავშირში მუდმივად მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს უფლება აქვთ მიიღონ დახმარება, პენსია და სხვა ფორმის სოციალური უზრუნველყოფა სსრ კავშირის მოქალაქეებთან საერთო საფუძვლებზე.

სსრ კავშირში დროებით მყოფ უცხოელ მოქალაქეებს უფლება აქვთ მიიღონ დახმარება, პენსია და სხვა ფორმის სოციალური უზრუნველყოფა სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილ საფუძვლებზე და წესით.

იმ შემთხვევებში, როცა პენსიების დასანიშნად საჭიროა მუშაობის გარკვეული სტაჟი, უცხოელ მოქალაქეებს სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილ საფუძვლებზე და წესით შეიძლება ჩაეთვალოთ ამ სტაჟში საზღვარგარეთ მუშაობა.

მუხლი 11. ბინის მიცემა

სსრ კავშირში მუდმივად მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს უფლება აქვთ სსრ კავშირის მოქალაქეებისათვის დადგენილ საფუძვლებზე და წესით მიიღონ სარგებლობისათვის საცხოვრებელი სადგომი სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში.

უცხოელი მოქალაქენი მოვალენი არიან გაუფრთხილდნენ მათთვის მიცემულ ბინას, დაიცვან საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობის წესები.

მუხლი 12. ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები

უცხოელ მოქალაქეებს შეუძლიათ საბჭოთა კანონმდებლობის შესაბამისად იქონიონ სსრ კავშირში საცხოვრებელი სახლი და სხვა ქონება პირად საკუთრებაში, მემკვიდრეობით მიიღონ და ანდერძით დატოვონ ქონება, ჰქონდეთ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოების, აღმოჩენის, გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადების, სამრეწველო ნიმუშის ავტორის უფლება, აგრეთვე სხვა ქონებრივი და არაქონებრივი უფლებანი.

მუხლი 13. განათლების მიღება

სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეებს აქვთ განათლების მიღების უფლება სსრ კავშირის მოქალაქეთა თანაბრად სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საბჭოთა სასწავლებელში მიღებულ უცხოელ მოქალაქეებს მინიჭებული აქვთ მოსწავლეთა და სტუდენტთა უფლება და აკისრიათ მათი მოვალეობები საბჭოთა კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. კულტურის მიღწევებით სარგებლობა

სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეებს აქვთ კულტურის მიღწევებით სარგებლობის უფლება სსრ კავშირის მოქალაქეთა თანაბრად.

სსრ კავშირში უცხოელი მოქალაქენი მოვალენი არიან სათუთად ეკიდებოდნენ ისტორიისა და კულტურის ძეგლებს, სხვა კულტურულ ღირებულებებს.

მუხლი 15. საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მონაწილეობა

სსრ კავშირში მუდმივად მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს უფლება აქვთ სსრ კავშირის მოქალაქეებთან თანაბარ საფუძვლებზე შევიდნენ პროფესიულ კავშირებში, კოოპერაციულ ორგანიზაციებში, სამეცნიერო, კულტურულ, სპორტულ საზოგადოებებსა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ამ ორგანიზაციათა წესდებას (დებულებას).

მუხლი 16. სინდისის თავისუფლება

სსრ კავშირში მყოფ უცხოელ მოქალაქეებს სსრ კავშირის მოქალაქეთა თანაბრად გარანტირებული აქვთ სინდისის თავისუფლება.

რელიგიურ რწმენასთან დაკავშირებით შუღლისა და სიძულვილის გაღვივება აკრძალულია.

მუხლი 17. საქორწინო და საოჯახო ურთიერთობა

სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეებს შეუძლიათ დაქორწინდნენ სსრ კავშირის მოქალაქეებსა და სხვა პირებზე ან განქორწინდნენ მათთან საბჭოთა კანონმდებლობის შესაბამისად.

სსრ კავშირში უცხოელი მოქალაქენი სარგებლობენ უფლებებით და აკისრიათ მოვალეობანი საქორწინო და ოჯახურ ურთიერთობაში სსრ კავშირის მოქალაქეთა თანაბრად.

მუხლი 18. პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობა

სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეებს საბჭოთა კანონმდებლობის შესაბამისად გარანტირებული აქვთ პიროვნების ხელშეუხებლობა და ბინის ხელშეუხებლობა, სხვა პირადი უფლებები.

მუხლი 19. სსრ კავშირის ტერიტორიაზე მიმოსვლა და ბინადრობის ადგილის არჩევა

უცხოელ მოქალაქეებს აქვთ სსრ კავშირის ტერიტორიაზე მიმოსვლისა და სსრ კავშირში ბინადრობის ადგილის არჩევის უფლება სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. მიმოსვლასა და ბინადრობის ადგილის არჩევაში შეზღუდვები დაიშვება, როცა ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის, სსრ კავშირის მოქალაქეთა და სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 20. გადასახადი და გამოსაღები

სსრ კავშირში უცხოელი მოქალაქენი იბეგრებიან გადასახადითა და გამოსაღებით სსრ კავშირის მოქალაქეებთან საერთო საფუძვლებზე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული სსრ კავშირის კანონმდებლობით.

მუხლი 21. უცხოელ მოქალაქეთა უფლებების დაცვა

სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს და სხვა სახელმწიფო ორგანოებს მათი კუთვნილი პირადი, ქონებრივი, საოჯახო და სხვა უფლებების დასაცავად.

უცხოელი მოქალაქენი სასამართლოში საპროცესო უფლებებით სარგებლობენ სსრ კავშირის მოქალაქეთა თანაბრად.

მუხლი 22. საარჩევნო უფლებისადმი დამოკიდებულება

სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეებს არ შეუძლიათ აირჩიონ და არჩეულ იქნენ სახალხო დეპუტატთა საბჭოებსა და სხვა არჩევით სახელმწიფო ორგანოებში, აგრეთვე მიიღონ მონაწილეობა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრაში (რეფერენდუმებში).

მუხლი 23. სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულება

უცხოელ მოქალაქეებს არ აკისრიათ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში სამხედრო სამსახურის მოვალეობა.

III. უცხოელ მოქალაქეთა სსრ კავშირში შემოსვლა და სსრ კავშირიდან წასვლა

მუხლი 24. სსრ კავშირში შემოსვლა

უცხოელ მოქალაქეებს შეუძლიათ სსრ კავშირში შემოვიდნენ ძალამოსილი საზღვარგარეთული პასპორტებით ან მათი შემცვლელი დოკუმენტებით, თუ აქვთ კომპეტენტური საბჭოთა ორგანოების მიერ გაცემული ნებართვა.

სსრ კავშირში შემოსვლის უფლება უცხოელ მოქალაქეს შეიძლება არ მიეცეს:

1) სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის;

2) თუ ეს საჭიროა სსრ კავშირის მოქალაქეთა და სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად;

3) თუ სსრ კავშირში წინანდელი ყოფნის დროს დადგინდა ფაქტები, რომ მან დაარღვია სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობის კანონმდებლობა, საბაჟო, სავალუტო ან სხვა საბჭოთა კანონმდებლობა;

4) თუ ჩამოსვლის შუამდგომლობის აღძვრისას მან თავის შესახებ ყალბი ცნობები წარადგინა ან არ წარმოუდგენია საჭირო დოკუმენტები;

5) სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილ სხვა საფუძვლებზე.

მუხლი 25. სსრ კავშირიდან წასვლა

უცხოელი მოქალაქენი სსრ კავშირიდან მიდიან ძალამოსილი საზღვარგარეთული პასპორტებით ან მათი შემცვლელი დოკუმენტებით, თუ აქვთ კომპეტენტური საბჭოთა ორგანოების მიერ გაცემული ნებართვა.

სსრ კავშირიდან წასვლის უფლება უცხოელ მოქალაქეს არ მიეცემა:

1) თუ არის საფუძველი მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად, — საქმის წარმოების დამთავრებამდე;

2) თუ მას მსჯავრი დაედო ჩადენილი დანაშაულისათვის, — სასჯელის მოხდამდე ან სასჯელისაგან განთავისუფლებამდე;

3) თუ მისი წასვლა ეწინააღმდეგება სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებს, — წასვლის დამაბრკოლებელ გარემოებათა მოქმედების შეწყვეტამდე;

4) თუ არსებობს სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი სხვა საფუძვლები, რომლებიც აბრკოლებენ წასვლას.

სსრ კავშირიდან უცხოელი მოქალაქის წასვლა შეიძლება გადაიდოს, სანამ იგი შეასრულებდეს ქონებრივ მოვალეობებს, რომლებთანაც დაკავშირებულია სსრ კავშირის მოქალაქეთა და სხვა პირთა, სახელმწიფო, კოოპერაციულ ან სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა არსებითი ინტერესები.

მუხლი 26. ტრანზიტული გავლა

უცხოელი მოქალაქენი, რომლებიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე ტრანზიტით გადიან, დადგენილი მარშრუტით მგზავრობენ ტრანზიტული გავლის წესების დაცვით სსრ კავშირიდან წასვლის სასაზღვრო პუნქტში და შეუძლიათ სსრ კავშირის ტერიტორიაზე ჩამოხდომა, თუ აქვთ კომპეტენტური საბჭოთა ორგანოების მიერ გაცემული ნებართვა.

მუხლი 27. უცხოელ მოქალაქეთა სსრ კავშირში შემოსვლის, სსრ კავშირიდან წასვლის, სსრ კავშირის ტერიტორიაზე ტრანზიტული გავლის წესების დადგენა

უცხოელ მოქალაქეთა სსრ კავშირში შემოსვლის, სსრ კავშირიდან წასვლისა და სსრ კავშირის ტერიტორიაზე ტრანზიტული გავლის წესებს ადგენს ეს კანონი და სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტები.

IV. უცხოელ მოქალაქეთა პასუხისმგებლობა. ყოფნის ვადის შემცირება. გაძევება

მუხლი 28. სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლები

უცხოელი მოქალაქენი, რომლებიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე ჩაიდენენ დანაშაულს, ადმინისტრაციულ ან სხვაგვარ სამართალდარღვევას, პასუხს აგებენ სსრ კავშირის მოქალაქეებთან საერთო საფუძვლებზე.

მუხლი 29. პასუხისმგებლობა სსრ კავშირში ყოფნისა და სსრ კავშირის ტერიტორიაზე ტრანზიტული გავლის წესების დარღვევისათვის

უკეთუ უცხოელი მოქალაქენი დაარღვევენ სსრ კავშირში ყოფნის წესებს, ანუ ცხოვრობენ სსრ კავშირში ბინადრობის უფლების დოკუმენტების უქონლად ან ცხოვრობენ ბათილი დოკუმენტებით, არ იცავენ რეგისტრაციის ან ჩაწერის ანდა მიმოსვლისა და ბინადრობის ადგილის არჩევის დადგენილ წესს, თავს არიდებენ წასვლას მათთვის დადგენილი ყოფნის ვადის გასვლის შემდეგ, აგრეთვე არ იცავენ სსრ კავშირის ტერიტორიაზე ტრანზიტული გავლის წესებს, მათ მიმართ ადმინისტრაციული სახდელის ღონისძიების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს გაფრთხილება ან ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე ოდენობით.

სახდელს აკისრებენ შინაგან საქმეთა ორგანოები.

უცხოელ მოქალაქეთა მიერ სსრ კავშირში ყოფნის და სსრ კავშირის ტერიტორიაზე ტრანზიტული გავლის წესების ბოროტი დარღვევა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

მუხლი 30. სსრ კავშირში ყოფნის ვადის შემცირება

უცხოელ მოქალაქეს, რომელიც დაარღვევს სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობის კანონმდებლობას, შეიძლება შეუმცირდეს სსრ კავშირში ყოფნის დადგენილი ვადა.

სსრ კავშირში უცხოელი მოქალაქის ყოფნის ვადა შეიძლება შემცირდეს აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა აღარ არის მისი შემდგომი დარჩენის საფუძვლები.

ყოფნის ვადის შემცირების გადაწყვეტილებას იღებენ შინაგან საქმეთა ორგანოები.

მუხლი 31. სსრ კავშირის ფარგლებიდან გაძევება

უცხოელი მოქალაქე შეიძლება გაძევებულ იქნეს სსრ კავშირის ფარგლებიდან.

1) თუ მისი მოქმედება ეწინააღმდეგება სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებს;

2) თუ ეს საჭიროა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის, სსრ კავშირის მოქალაქეთა და სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად;

3) თუ მან უხეშად დაარღვია სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობის კანონმდებლობა, საბაჟო, სავალუტო ან სხვა საბჭოთა კანონმდებლობა.

გაძევების გადაწყვეტილებას იღებენ კომპეტენტური საბჭოთა ორგანოები. უცხოელი მოქალაქე ვალდებულია დატოვოს სსრ კავშირი ამ გადაწყვეტილებაში აღნიშნულ ვადაში. წასვლაზე თავის ამრიდებელნი ასეთ შემთხვევებში პროკურორის სანქციით დაკავებულ და გაძევებულ იქნებიან იძულებითი წესით. ამასთან დაკავება დაიშვება გაძევებისათვის საჭირო ვადით.

V. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 32. კანონის მოქმედება მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ

ამ კანონის დებულებები ვრცელდება სსრ კავშირში მყოფ მოქალაქეობის არმქონე პირებზე, თუ სხვა რამ არ გამომდინარეობს სსრ კავშირის კანონმდებლობიდან.

მუხლი 33. უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლობების მეთაურთა და თანამშრომელთა და სხვა პირთა პრივილეგიები და იმუნიტეტები

ამ კანონის დებულებები არ ეხება უცხოეთის დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობათა მეთაურებისა და თანამშრომლების, აგრეთვე სხვა პირების პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის კანონმდებლობით და სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი. კრემლი. 1981 წლის 24 ივნისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

„სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

„სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მიღებასთან დაკავშირებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“ 1982 წლის 1 იანვრიდან.

2. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუსაბამოს სსრ კავშირის კანონმდებლობა სსრ კავშირის კანონს „სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი. კრემლი. 1981 წლის 24 ივნისი.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავის გამო

წინაპართა ნათელ ნაკვალევზე

ჟურნალისტური ექსპედიცია
1783 1983
27 VI 81

გუშინ თბილისის იპოდრომიდან ძმობის დიდ გზას დაადგა ჟურნალისტური ექსპედიცია

ჩვენს რესპუბლიკაში დაიწყო სამზადისი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავის შესახვედრად. რუსეთ-საქართველოს ურთიერთდახმარების ამ ხელშეკრულებამ წარუშლელი კვალი გაავლო ორი ხალხის ეკონომიკურ და სულიერ ცხოვრებაში, ერთა შორის ძმობის, მეგობრობისა და კულტურული დაახლოების საქმეში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და საქართველოს კომპარტიის 60 წლის თავის აღსანიშნავ საზეიმო დღეებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მაღალი შეფასება მისცა 200 წლის წინათ დადებულ ამ შეთანხმებას.

დიახ, გეორგიევსკის ტრაქტატმა თავისებური დუღაბის როლი შეასრულა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ტრადიციების განმტკიცებაში, რომელსაც ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში — საქართველოს კულტურული რენესანსის ეპოქაში ჩაეყარა საფუძველი.

სწორედ რუსი და ქართველი და საერთოდ მთელი საბჭოთა ხალხების წარსულ მეგობრულ კონტაქტებსა და თანამედროვე ძმური ოჯახის ჯანსაღ ფესვებს ეძღვნება ჟურნალისტური ექსპედიცია, რომელსაც გაზეთი „კომუნისტი" და საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირი აწყობს. ამ თაოსნობას მხარი დაუჭირა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლის სამდივნომ სპეციალური დადგენილება მიიღო და ამით ექსპედიციას განსაკუთრებული მნიშვნელობა და მასშტაბი მიანიჭა.

რა კონკრეტული გეგმები და მიზნები აქვს ექსპედიციას? იგი, ჩვენი წინაპრებივით, ცხენით იმოგზაურებს ასტრახანსა და გეორგიევსკში. ექსპედიციის წევრები ასტრახანამდე გაივლიან დაახლოებით იმავე გზას, რომელიც ძველმა ქართველმა ელჩებმა, მათ შორის პეტერბურგისაკენ მიმავალმა ქართველმა მეფეებმა — ვახტანგ მეექვსემ და თეიმურაზ მეორემ გაიარეს თავის დროზე. ამის შემდეგ კი ეწვევიან გეორგიევსკს, სადაც 1783 წელს ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთდახმარების ტრაქტატი დაიდო.

დაახლოებით 35-40-დღიანი მოგზაურობის პერიოდში ექსპედიცია გაივლის ორი ათასამდე კილომეტრს, ექვს მეზობელ ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკას, ოლქსა და მხარეს, შეხვდება საბჭოთა ქვეყნების მოძმე ერების წარმომადგენლებს, მათ შორის ახმეტის რაიონთან ძმადნაფიცი გეორგიევსკის რაიონის მშრომელებს. გარდა ამისა ექსპედიციის წევრები ასტრახანის მიძინების ტაძარში სამახსოვრო ფილას მიიტანენ ქართველი ერის ხსნისათვის იქ განსვენებული თავდადებული მამულიშვილების პოეტი-მეფეების ვახტანგ მეექვსისა და თეიმურაზ მეორის საფლავზე.

ყოველივე ამის შესახებ „კომუნისტის" მკითხველები ექსპედიციის წევრებისაგან რეპორტაჟებისა და ჩანახატების სახით ოპერატიულად მიიღებენ ცნობებს, რომლებიც ისტორიულ-მხატვრულ ნარკვევთან ერთად პერიოდულად დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის ახალი, სპეციალური რუბრიკით „გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავის გამო" (ეს რუბრიკა „კომუნისტში" 1983 წლამდე ტრაქტატის იუბილესადმი მიძღვნილ ყველა წერილს გაჰყვება). მაგრამ ექსპედიციის მოგზაურობა მარტოოდენ გაზეთის საშუალებით როდი აისახება. გადაღებული იქნება ფერადი, დოკუმენტური ფილმი, იუბილეს წინ გამოიცემა ამ ჟურნალისტური ლაშქრობის ამსახველი წიგნი და ჩანახატების ალბომი.

ექსპედიციის შემადგენლობაში არიან: გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის განყოფილების გამგე გელა ქოქიაშვილი (ხელმძღვანელი) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორის მოადგილე ოთარ ყეინაშვილი (ხელმძღვანელის მოადგილე), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი ჯუმბერ ჯიშკარიანი, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის წევრი ლევან დავითაშვილი, საქართველოს სსრ სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის ოპერატორი რევაზ მახათაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ლაბორატორიის მეცნიერი თანამშრომელი ცოტნე ალბუთაშვილი, გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი გიორგი პაპუაშვილი, თბილისის მე-5 კლინიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგე თეიმურაზ რუხაძე, ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის სპეციალისტი ნოდარ ხააძე, ამავე რაიონში გაზეთ „სოფლის ცხოვრების" კორესპონდენტი რამაზ ბორჩაშვილი, „საქსახსოფლტექნიკის" მძღოლი ტარიელ გიუნაშვილი და „საქმედავტოტრანსის" გაერთიანების მძღოლი იოსებ ბერიაშვილი.

ექსპედიციის მოწყობის სამზადისი დამთავრდა, და აი, გუშინ 13 საათზე თბილისის იპოდრომიდან ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა მხედრებმა თბილისიდან ასტრახანისა და იქიდან გეორგიევსკის მიმართულებით აიღეს გეზი.

ბედნიერი გზა გქონოდეთ, წინაპართა ნათელ ნაკვალევზე მიმავალო ახალგაზრდებო!

● ●





სურათებზე: ჟურნალისტური ექსპედიციის მარშრუტის სქემა; ექსპედიციის მონაწილენი თბილის-მცხეთის მარშრუტზე.

ს. კილაძის ფოტო.

კომუნისტი

საკვირაო საკითხავი

ესენინი რუსთაველის სტუმარი

ეს იყო 1958 წელს. მოსკოვში დიდი ტრიუმფით მოეწყო საქართველოს ხელოვნებისა და მწერლობის დეკადა. საბჭოეთის დედაქალაქი მთელი ათი დღე აღტაცებით უკრავდა ტაშს საქართველოდან წარმოგზავნილ ხელოვნებისა და მწერლობის დიდოსტატებს. მოსკოვის დიდ თეატრში ალექსი მაჭავარიანის ბალეტ „ოტელოზე" მოხვედრა და ვახტანგ ჭაბუკიანის ხილვა მოსკოველთა ოცნება იყო, ხოლო დრამატულ თეატრში ოიდიპოსის სამი შემსრულებელი — აკაკი ხორავა, ეროსი მანჯგალაძე და სერგო ზაქარიაძე საერთო აღფრთოვანებას იწვევდნენ. იმავე დღეებში საბჭოთა კავშირის მწერალთა სახლის ფოიეში ფოტორეპორტიორები ელოდნენ შალვა დადიანის, გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის, ლეო ქიაჩელის, სიმონ ჩიქოვანის და სხვათა გამოჩენას... კონფერენციის დიდ დარბაზში სულგანაბული უსმენდნენ ქართველი მწერლების ახალ თარგმანებს, შემდეგ კი ტაში აზანზარებდა დარბაზს. განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია ტიციანის, პაოლოს, მიხეილ ჯავახიშვილის სახელების ხსენებამ. მათი პირადი მეგობრები ნ. ტიხონოვი, პ. ანტოკოლსკი, ლ. ლეონოვი, კ. ფედინი, ა. სურკოვი... ყვებოდნენ მათთან შეხვედრებისა და მეგობრობის დაუვიწყარ დღეებზე, კითხულობდნენ თარგმანებს და მათს თვალებში იელვებდა ხოლმე სიხარულისა თუ სინანულის ცრემლი. პ. ანტოკოლსკიმ წაიკითხა ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის ლექსები და დასძინა, რუსი და ქართველი პოეტების მეგობრობა და ძმობა მათ გამოჭედეს და გამოაწრთვესო. პოეტთა მეგობრობის ეს ხიდი იალბუზივით ურყევია.

დეკადის დღეებში ქართველი მწერლები ჯგუფ-ჯგუფად ესტუმრნენ ფაბრიკა-ქარხნებს, კოლმეურნეობებს, ერთი ჯგუფი ესენინის ადგილის დედას — კონსტანტინოვოს ეწვია.

კონსტანტინოვო რიაზანის ოლქში ერთ-ერთი ულამაზესი ტიპიური რუსული სოფელია. აქ დაიბადა 1895 წელს სერგეი ალექსანდრეს ძე ესენინი, ბავშვობაც აქ გაატარა. 1913 წლიდან მოსკოვში ცხოვრობდა, 1915 წელს კი ლენინგრადში გადავიდა, მაგრამ ადგილის დედის სიყვარული და სურნელება გაუხუნებლად ცოცხლობდა მის პოეტურ სულში. მის ლექსებში პატრიოტული აღსარების ადრესატი ხშირად ეს სოფელი და მისი და ალექსანდრაა. სწორედ ალექსანდრა ალექსანდრეს ასული შემოგვეგება და მისი პირველი სიტყვა ეს იყო: მობრძანდით ქართველებო, ჩემს ძმას განსაკუთრებით უყვარდა საქართველო, მის ხილვამდე ზღაპრულ სამოთხედ ჰქონდა წარმოსახული თქვენი სამშობლო, ალბათ „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, რომელსაც იგი გატაცებით კითხულობდა გამომგზავრებამდე და აღგზნებული ამბობდა: „სულ მალე მე რუსთაველის სტუმარი ვიქნები საქართველოშიო". იმ წლებში სამოქალაქო ომმა შეუშალა ხელი, მერე კი ერთბაშად მიაშურა კავკასიას და საქართველოს" — ესა თქვა და [illegible]ნაგებ თეთრად შეღებილ ძველებურ რუსულ სახლში შეგვიძღვა, სადაც დაიბადა დიდი რუსი პოეტი. ამ რიაზანულ ოჯახში სისადავე და უბრალოება სუფევდა. შუა დარბაზში იდგა ალექსანდრა ალექსანდრეს ასული და განსაკუთრებული სინაზითა და სიყვარულით გვიამბობდა ესენინების ოჯახის ამბავს, იხსენებდა პოეტის ბავშვობას. ყურადღება მიიპყრო სათუთად შენახულმა და მოვლილმა მემორიალურმა ნივთებმა, წიგნის მომცრო კარადამ, საწერმა მაგიდამ. მასპინძელმა წიგნის კარადა გამოაღო და სერგეი ესენინისეული კონსტანტინე ბალმონტის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის" 1917 წლის პირველი გამოცემა გამოგვიწოდა, რომელსაც პოეტის ხელითვე აწერია: „სერგეი ესენინი. 1917 წელი. მაისი". მე, როგორც დელეგაციის ხელმძღვანელმა, ქართველი მწერლების სახელით უდიდესი მადლობა მოვახსენე ქალბატონ ალექსანდრას ამ ისტორიული წიგნის ბოძებისათვის (ახლა ეს წიგნი ინახება თბილისის უნივერსიტეტის გ. ტაბიძის სახელობის კაბინეტში. ესენინის სახლი ჯერ კიდევ არ იყო გამოცხადებული სახელმწიფო მემორიალად, მაგრამ ძმაზე და მის პოეზიაზე უზომოდ შეყვარებული და ათბობდა, პატრონობდა, დაფოფინებდა პოეტის ფუძეს, ეზო-კარმიდამოსა და მამა-პაპეულ ნივთებს... და აი, ასეთი პატრონისაგან ასეთი უნიკალური საჩუქრის გაღება მე საქართველოსა და ესენინის ურთიერთობის სიმბოლურ გამოხატულებად მივიჩნიე... (ალექსანდრა ესენინა ახლახან გარდაიცვალა 71 წლისა).

ეს მომცრო (კ. ბალმონტმა „ვეფხისტყაოსნის" სრული თარგმანი 1933 წელს გამოსცა პარიზში), კითხვისაგან გაცვეთილი თეთრი წიგნი უამრავ ფიქრს აღუძრავს კაცს. ამ ფიქრთა სათავე, უწინარეს ყოვლისა, თვით რუსთაველის „ვეფხისტყაოსანია". სწორედ ბალმონტის მიერ თარგმნილმა „ვეფხისტყაოსანმა" ერის დიდების ამ უკვდავებამ, ჩვენმა დიდმა წინაპარმა შოთა რუსთაველმა „მოიპატიჟეს" საქართველოში სერგეი ესენინი, ისე როგორც თვით „ვეფხისტყაოსნის" მთარგმნელი საყოველთაოდ ცნობილი პოეტი ბალმონტი.



Шота Руставели

НОСЯЩІЙ БАРСОВУ ШКУРУ

ГРУЗИНСКАЯ ПОЭМА XII в.

ПЕРЕВОДЪ К. БАЛЬМОНТА

МОСКВА
Изданіе М. и С. САБАШНИКОВЫХЪ
1917

გმირული ისტორიული წარსულის მქონე საქართველოს სახელი ბალმონტისეული „ვეფხისტყაოსნის" მეოხებითაც გავიდა ჩვენი ქვეყნის მიღმა. თვით ბალმონტსაც დიდად გაუთქვა სახელი „ვეფხისტყაოსნის" თარგმანმა. ამის თაობაზე კარგად შენიშნავს გალაკტიონ ტაბიძე: „ბალმონტის პოეტური სიტყვის „გადამღერების, მრისხანების, სინაზის ჟღერა", საუცხოოდ მოემსახურა მსოფლიო პოეზიას შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" თარგმანით".

კ. ბალმონტის ბიძგის მიმცემი, ერთ-ერთი პირველი შთამაგონებელი და მასპინძელი საქართველოში პაოლო იაშვილი იყო, აქ თვით პაოლო იაშვილს მივცეთ სიტყვა:

...„კონსტანტინე ბალმონტი, გამოჩენილი რუსი მგოსანი დიდი სიყვარულით და გატაცებით ეკიდება ჩვენს ქვეყანას, საქართველოს სილამაზისა და ქართველი ხალხის დამახასიათებელ თვისებათა გარდა, ბალმონტს აინტერესებს ჩვენი ენა და პოეზია. შემთხვევით, ოლივერ უორდროპის მეოხებით მას წაუკითხავს ინგლისურ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი" და ისე გატაცებულა უკვდავი პოემით, რომ გადაუწყვეტია მისი რუსულად თარგმნა. ამ მიზნით იგი აპირებს საქართველოში მოსვლას, ენის შესწავლას და მცოდნე პირთა დახმარებით თარგმნას. ეს ზამთარი ბალმონტმა პარიზში გაატარა და მე შემთხვევა მეძლეოდა ხშირად შევხვედროდი მას. ქართულმა ენამ მასზე და მის მახლობლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პირველ გაცნობისას ბალმონტს არაფერი არ უთქვამს ჩემთვის „ვეფხისტყაოსნის" გადათარგმნის შესახებ, მაგრამ შემდეგში, როდესაც მისივე თხოვნით მე წავუკითხე მას ადგილები პოემიდან და გადავუთარგმნე ქართულიდან რამდენიმე მისგანვე არჩეული სიტყვა, მან მრავალ სტუმართან აღტაცებით წარმოთქვა: „მრავალი ქვეყანა მინახავს, ისეთიც კი, სადაც ხალხი პირველყოფილ მდგომარეობაშია და საქართველოში, რომელიც ისე ახლოს არის და რომელიც სიყრმიდან მიყვარდა და მიყვარს, ჯერ არ ვყოფილვარ, ეგებ რაღაცა ძალა განგებ მაგვიანებდა, რომ ყველა ნახული სილამაზის შემდეგ, მენახა მხარე, რომლის სილამაზე, ხალხი და დიდი რუსთაველი ტკბილი სიზმრის მშვენიერი დასასრული ყოფილიყო". „ვერ წარმოიდგენთ, — მითხრა ერთხელ მან, — როგორის ნეტარებით ველი იმ წუთს, როდესაც პირველად დავინახავ თქვენს სამშობლოს".

ერთ დღეს, კ. ბალმონტთან მისვლისას, მისმა მეუღლემ მითხრა: „ბალმონტის და ჩვენი ფიქრი ეხლა სულ საქართველოსკენ არის. მან უკვე გადაწყვიტა საქართველოში წასვლა, მაგრამ მე და ჩემ ქალს ძლიერ დაგვწყვიტა გული, რომ ასე უეცარ გადაწყვეტით საშუალება არ მოგვცა ჩვენც წავყოლოდით მას". მართლაც, ბალმონტმა აღფრთოვანებით მითხრა, რომ სულ ცოტა ხანში იგი წავა საქართველოში.

თბილისში ბალმონტი იქნება დაახლოებით 14 აპრილს. აქ ის წაიკითხავს მეტად საინტერესო ლექციას „ოკეანეთს" — პოლინეზიაში მოგზაურობის დროს შეგროვილ შთაბეჭდილებას გაუზიარებს მსმენელებს. თბილისით იგი დაამთავრებს თავის ლექციების ტურნეს რუსეთის დიდ ქალაქებში. უკანასკნელად ჩვენი ქალაქი მან განგებ აირჩია, რომ მეტი შეძლება ჰქონოდა აქ დარჩენისა, თუმცა ჯერჯერობით მას საშუალება აქვს დარჩეს მხოლოდ რამდენისამე დღეს. ენის შესასწავლად და „ვეფხისტყაოსნის" სათარგმნელად იგი შემდეგ ჩამობრუნდება. ეჭვი არ არის, ქართველი საზოგადოება ჩვეულებრივი სტუმართმოყვარეობით დაუხვდება ჩვენი ქვეყნის მეგობარს და არ გაუქარწყლებს იმ მშვენიერ წარმოდგენას, რომლითაც იგი ჩვენში მოდის, ვსარგებლობთ შემთხვევით და ვუგზავნით „თემს" ბალმონტის რამოდენიმე ლექსის თარგმანს. პარიზი, აპრილის 6, 1914", ტიციან ტაბიძე, ასე მიმართავდა რუს პოეტს:

გელის თბილისი, „ვეფხისტყაოსანს"
მეორედ ელის დღეს საქართველო.
ცისფერ ყანწებით დიდებულ მგოსანს
მოაგებებენ შენს სადღეგრძელოს.

მართლაც ბალმონტი პირველად 1914 წელს ესტუმრა საქართველოს, მეორედ — 1915 წელს, მესამედ 1917 წელს.

1915 წელს პარიზიდან დაბრუნებული პაოლო იაშვილი თვითონ იყო მასპინძელი ბალმონტისა... 1915 წლის 5 ოქტომბერს ბალმონტი ქუთაისს ეწვია. ქუთათურებმა ზღაპრული შეხვედრა მოუწყვეს რუსი სიმბოლისტების მამამთავარს. ამ შეხვედრების რეჟისორი და დირიჟორი პაოლო იაშვილი გახლდათ. ძმობით, სტუმართმოყვარეობით, საქართველოს სიყვარულით აღსავსე დაბრუნდა კ. ბალმონტი სამშობლოში და რუსეთის ქალაქებში რამდენიმე ლექცია წაიკითხა რუსთაველზე და პოემის თარგმანის ჭაშნიკიც გააცნო მშობლიურ ხალხს. რუსულსავე პრესაში გამოაქვეყნა სტატიები: „შოთა რუსთაველი და მსოფლიოს სხვა გენიოსები, როგორც მიჯნურობის მომღერალნი", „რუსთაველი" და სხვა. უეჭველია, ეს ლექციები მოისმინა სერგეი ესენინმა მოსკოვსა ან პეტერბურგში, ხოლო, როცა 1917 წელს მოსკოვში გამოვიდა კ. ბალმონტისეული „ვეფხისტყაოსნის" თარგმანი, უმალვე შეუძენია. „ვეფხისტყაოსნით" და გამოცემას წამძღვარებული წერილებით შეიყვარა ესენინმა საქართველო და მერე გამოჰყვა რუსთაველის სტრიქონებს: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია..." და მოადგა საქართველოს. საქართველომ ფართოდ გაუღო კარი უნიჭიერეს პოეტს. ტიციან ტაბიძემ, პაოლო იაშვილმა, გიორგი ლეონიძემ და ვალერიან გაფრინდაშვილმა ძმობა გამოუცხადეს და მთელი საქართველო მოატარეს. რუსთაველის საქართველო, ქართველ საბჭოთა პოეტებთან მეგობრობა ესენინისათვის პოეტური შთაგონების ახალ იმპულსად იქცა: საქართველოში ყოფნისას მან შექმნა საუკეთესო პოეტური ქმნილებანი, რომელთა ერთ ნაწილში („საქართველოს პოეტებს" და სხვ.) გამოხატულია საქართველოსა და ქართველი პოეტებისადმი უგულითადესი სიყვარული და პატივისცემა.

სერგეი ესენინის ტრაგიკული სიკვდილი მწარედ განიცადა მთელმა საბჭოეთმა. ესენინის გარდაცვალებას ფართოდ გამოეხმაურა ქართული პრესა. ჟურნალმა „მერცხალმა" (№ 1, 2, 1925 წ.) ლექსებისა და წერილების სპეციალური ლიტერატურული დამატება მიუძღვნა ესენინს.

ტიციან ტაბიძემ უმძაფრესად განიცადა პოეტი მეგობრის დაღუპვა.

„ჩოფურაშვილთან ვიყავით წუხელ,
შენზე ღრიალით გასკდა არღანი,
საკუთარ ძმასაც ველარ გავუმხელ,
რაც ჩაკირულა გულში ბაღდამი...
სამწუხაროა ყველა ესენი
და უფრო მწარე კიდევ ის არი,
ლამაზო ბიჭო! სერგეი ესენინ!
ცოცხალს არ გესმის ეს საფიცარი!
ამხანაგებო, თუ ღრმა ღელეში
ჩვენი თავებიც სადმე დაგორდეს,
ყველამ იცოდეს — სხვა პოეტებში
ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ ორდენს!

ტიციან ტაბიძის ეს ამონაკვნესი რუსთაველის საქართველოს პოეტური ექო იყო.

უდროოდ დაღუპულ პოეტს არა მარტო ლექსებში გამოუხატავს საქართველოსადმი უნაპირო სიყვარული, არამედ თვით ოჯახშიც დაუტოვებია ამ სიყვარულის კვალი ნათელი. ამის დასტურია დისგან ბოძებული ეს „ვეფხისტყაოსანი" პოეტის წარწერით.

სერგი ჭილაია.

რესპუბლიკის თეატრალური აფიშა

გვადი — მესხეთის სცენაზე

დღემდე რჩება მრავალმხრივი ინტერესის ობიექტად ერთი უბირო, გარიყული კაცის ამბავი, რომელიც გაიგებს რა სოციალურ გარდაქმნათა სასიკეთო ძალას, გადადგამს ნაბიჯს, რომელიც ძირფესვიანად შემოატრიალებს მის ცხოვრებას.

თეატრიც ვერ დარჩა გულგრილი ცხოვრებიდან მთელი სიმართლით ამოწერილი გვადი ბიგვას მიმართ და არაერთი სპექტაკლი მიეძღვნა მას. ლ. ქიაჩელის ნაწარმოების შესანიშნავი სცენური ვარიანტი შექმნეს მიხეილ თუმანიშვილმა და შოთა სალუქვაძემ. აქ გათვალისწინებულია სასცენო კანონები, ჩანს ძირითადის, არსებითის მიმართ მთელი გულისყური, სავსებით შენარჩუნებულია ნაწარმოების განწყობილება და მისთვის დამახასიათებელი ზომიერი კოლორიტი.

ჩვენმა თეატრებმა სათანადოდ აღნიშნეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავი. ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის თეატრალურმა გააზრებამ მოითხოვა ისეთი ავტორის თანამონაწილეობაც, როგორიც ლეო ქიაჩელია. მასზე შეჩერდა მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის არჩევანი.

ახალციხის სცენაზე „გვადი ბიგვას" დადგმა ერთგვარ ეჭვს ბადებდა: — რამდენად შეძლებდნენ იმ ფაქიზი ნიუანსების შენარჩუნებას, რომლებიც ნაწარმოებს ახლავს. ეტყობა, დამდგმელი კოლექტივი სრულებით არ იზიარებდა ამ ეჭვს და მონდომებით, დიდი ინტერესით ქმნიდა სპექტაკლს.

მხატვარმა ლომგულ მურუსიძემ შესანიშნავად შეძლო სცენური სივრცის ორგანიზება, რითაც მოქმედ პირთ შეუქმნა საშუალება თავისუფალი ქმედებისა მათთვის ორგანულ გარემოში; არიერსცენაზე, გამჭვირვალე საბურველიდან კარგად ამოიკითხება არჩილ ფორიას გამართული კარ-მიდამო, ხოლო სცენის შუაგულში მთელი სილუხჭირითაა წარმოდგენილი გვადი ბიგვას უქალო ოჯახის კერია. ეს დაპირისპირება კიდევ უფრო მკვეთრად წარმოსახავს სოციალურ უთანასწორობას და ორი ბანაკის ყოფის მეტაფორულად განზოგადებულ სურათსაც ქმნის. სცენოგრაფია ფერწერულად არის გადაწყვეტილი, რაც ამსუბუქებს სივრცეს და მოქმედების დროს ეფექტსაც ზრდის.

დამდგმელი რეჟისორი ლილი ბულუხია მოერიდა მხატვრული გადაწყვეტის მკვეთრ აქცენტირებას და შეეცადა ქიაჩელის პერსონაჟების განწყობილებათა ისერიგად წარმოსახვას, რომ მათ რეალური ცხოვრების სურათები გაეცოცხლებინათ ჩვენთვის. ამავე დროს მოქმედ პირთა აქტიურმა დამოკიდებულებამ მოვლენების განვითარებისადმი, არსებითი სათქმელის შინაგანმა ქმედითობამ თვალსაჩინო გახადა კონფლიქტის სიმძაფრე და მისი საბედისწერო გარდაუვალობა. სპექტაკლს გასდევს ნაწარმოებისთვის დამახასიათებელი კოლორიტი, რომელიც კიდევ ერთ საინტერესო ფერს მატებს მას. რეჟისორმა მოძებნა ზუსტი რიტმი, რომელიც ბუნებრივად წარმართავს მოვლენებს ბოლომდე გააზრებული ამოცანებისა და დამაჯერებელი აქტიორული შესრულების წყალობით, რის მეოხებითაც სცენური დროც კარგად შეიგრძნობა.

სპექტაკლის ყველა ეს სიკეთე ამაოდ ჩაივლიდა, გვადის სახე რომ მთელი სისრულით არ წარმოჩენილიყო. ეს სახე საყურადღებოა ხასიათის მრავალფეროვნებითა და მისი თანდათანობით ზრდის თვალსაჩინო პროცესით. ინტერპრეტაცია, რომელიც მსახიობმა სერგი მელაძემ გვადის სახეს მოუძებნა, საინტერესოა და ახლებური. მისი გვადი აქტიურია, პლასტიკურად მოქნილი და შინაგანადაც მოქმედებით აღსავსე. ამით „ტყლიპიანი" გვადისაგან თითქოს დაცილებულიცაა მსახიობი, მაგრამ ეს მომენტიც გაუთვალისწინებია და გაუთავისებია ს. მელაძეს. მსახიობმა შეძლო გარეგნული აქტიურობისთვის მიესადაგებინა მიუსაფარი კაცის სევდა და ტკივილი. მხოლოდ ერთ სცენაში, სადაც არჩილ ფორიას მიერ „ნაბოძებ" საჩუქრებს სათითაოდ ამოალაგებს ხურჯინიდან, მოწმენი ვხდებით იმ არტისტიზმისა, რომელიც გვადის ფარულად ახლავს და წამიერ სიხარულში მთელი სისრულით გამომჟღავნდება.

ს. მელაძის გვადი პიროვნებად ჩამოყალიბების გზაზე თანდათანობით იკრებს ძალას, ოდნავ შესამჩნევი თანამიმდევრობით იცვლის სახეს და მაყურებელში ამზადებს იმის რწმენას, რომ შესძლებს მტერს გამოუტანოს სასიკვდილო განაჩენი. ეს ყველაფერი ხდება ხასიათის განვითარების ლოგიკური თანამიმდევრობით და ფინალურ სცენაში მსახიობი უკვე დრამატულ სიმძაფრეს აღწევს.

წარმავალი სამყაროს აქტიური ქომაგი არჩილ ფორია სპექტაკლში დახატულია საინტერესოდ, მსახიობის პლასტიკა და შინაგანი ძალა ცხოვრებისაგან გალაღებული, თავის თავში დარწმუნებული კაცის ბუნებას გვიხატავს. ვაჟა ნიკოლაიშვილი ზუსტად მიკვლეული ინტონაციებისა და რიტმული მონახაზის წყალობით ახერხებს განაზოგადოს თავისი პერსონაჟის ხასიათი და კლასობრივი მტრის მკაფიო სახე შექმნას. მსახიობი ცალმხრივი როდია, მას ახლავს გარეგნული პეწი და მომხიბვლელობა, რასაც თან ერთვის ის შემპარავი თილისმა, რომლის მეშვეობითაც სურს შენიღბოს ახალი დროების მიმართ არჩილ ფორიას შეურიგებლობა.

სპექტაკლში გვადის ოჯახი ბარდღუნია, ღუტუნია, კიტუნია ჰირიმია და კუჭუნია წარმოდგენილი არიან ცოცხლად და სახიერად; ისინი თავისებურად ავსებენ გვადის სახეს, უნაწილებენ მას თავიანთ გულის სითბოსა და სიყვარულს. ყოველივე ეს ქმნის სცენური ცხოვრების სისრულეს. გვადის უფროსი ვაჟი ბარდღუნია მსახიობ ო. წიტაიშვილის შესრულებით გამოირჩევა სიკეთითა და ადამიანური მიმზიდველობით; ამავე დროს, გამოცდილი მსახიობი წარმართავს თავისი პატარა პარტნიორების — ტ. ალავიძე, და ქ. და ქ. გოგიძეები, ქმედებას. გვადის მეზობელი, მარტოხელა მარიამი სპექტაკლში განამტკიცებს იმ აზრს, რომ ცხოვრებისაგან გატეხილ კაცსაც, რომელსაც ათასი ფიქრი აწუხებს, თავის ოცნებებში შეუძლია გამოძებნოს მკვიდრი ბინა. მსახიობ გ. ხვიჩიას წინ სდევს ქალური სიფაქიზე და გვადისადმი კეთილდამოკიდებულების შუქი.

თითქოს გზაჯვარედინზეაო ჯერჯერობით არც იქით და არც აქეთ, უბრალოდ თავისთვის, გლეხური სიჯიუტით მოქმედებს გოჩა სალანდია. მსახიობი ო. რეხვიაშვილი ჩინებულად წარმოგვიდგენს კაცს, რომლისთვისაც საკუთარი ღობის იქით სამყარო მთავრდება.

სპექტაკლში აქტიურ ძალად მოჩანან ახალი ცხოვრების თანაზიარნი — ნაია, ელიკო, გერა ბიგვა. მსახიობებს ლ. თევზაძეს, ი. ოქრომელიძეს და ზ. მინდიკაურს მოაქვთ ის შემართება და ენთუზიაზმი, ურომლისადაც ვერ ვირწმუნებთ იმ ძირეული ძვრების მნიშვნელობას, რომლებმაც ჩვენს თვალწინ აღმავლობის გზაზე დააყენა ბედისაგან დავიწყებული ადამიანი.

სპექტაკლი ანსამბლურია, მცირე ეპიზოდიც კი გაცოცხლებულია საინტერესო აქტიორული დეტალებით. დადგმის წარმატებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს მსახიობებმა ზ. ბერძენიშვილმა (ტასია), თ. ჩერქეზიშვილმა (ზოსიმე), ო. ყურაშვილმა (ონისიმე), ბ. თამაზაშვილმა (პახვალა), თ. ნემსაძემ (მაქსიმე), გ. ვახტანგიშვილმა (ანდრია).

წარმოდგენაში ოსტატურად არის გამოყენებული ოთარ თაქთაქიშვილის ცნობილი ციკლი „მეგრული სიმღერები". მუსიკა სპექტაკლში შემოდის როგორც მოქმედების განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომელსაც ეკისრება სიხარულის, მწუხარების, იმედიანობის თუ დრამატულ კოლიზიათა თანაზიარობა.

სპექტაკლს გაფრთხილება სჭირდება; რომ ახალ სეზონამდე შეულახავი მივიდეს, გასვლითი წარმოდგენების დროს ბევრი რამ იკარგება, მექანიკურ ხასიათს იძენს, ზოგჯერ კი ძირეულ სახეცვლილებას განიცდის. პერიფერიის თეატრებისთვის ნიშანდობლივი ეს საერთო „სენი" მესხეთის თეატრსაც ახასიათებს, რის აღმოფხვრაც მათი უპირველესი საზრუნავია.

გვადის სტუმრობა მესხეთის თეატრში ფეხბედნიერი გამოდგა. მაყურებელმა წიგნის შემდეგ სცენაზეც გულით განიცადა გვადი ბიგვას ცხოვრების მღელვარე დღეები.

ვ. ძიგუა.

ჩვენი კულტურის განძთსაცავი

ვინ მოთვლის რამდენ ოჯახშია დაცული ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა პირადი ფონდები, რომლებიც ბევრ საინტერესო დოკუმენტს, ჩანაწერს, მოგონებას თუ ფოტოსურათს შეიცავს. დროთა განმავლობაში ზოგიერთნი მათ მოძველებულად თვლიან და კიდევაც ანადგურებენ. არადა, ჩვენი კულტურის ისტორიის მკვლევართათვის ისინი რაოდენ ძვირფას მასალებს შეიცავენ.

ამ საარქივო ფონდების შეგროვება და დაცვა ითავა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მთავარი საარქივო სამმართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურმა სახელმწიფო არქივმა. თავისი არსებობის ათი წლის მანძილზე არქივის თანამშრომლებმა დაუღალავი შრომითა და გარჯით თავი მოუყარეს როგორც საქართველოსა და ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში მცხოვრებ ქართული კულტურის მოღვაწეთა პირად ფონდებს. აღწერეს ისინი, შეადგინეს კატალოგები, ნუსხები და მიმოხილვები, რაც დიდად ეხმარება აქ სამუშაოდ მოსულ მკვლევარს დროულად მიაგნოს მისთვის საინტერესო მასალებს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა იმთავითვე მხურვალედ გამოეხმაურა ამ საშვილიშვილო საქმეს და დიდძალი საოჯახო ფონდები უსასყიდლოდ გადასცა არქივს. ასე შეიქმნა ქართველი კომპოზიტორისა და პიანისტის ერეკლე ჯაბადარის პირადი არქივი. დღეს იგი უკვე მთლიანად დამუშავებულია და მისი აღწერილობა სამეცნიერო-საცნობარო ლიტერატურის ხაზით დასტამბულიც არის. დამუშავებულია აკაკი ხორავას, ვანო სარაჯიშვილის, კარლო გოგოძის, ვახტანგ ტაბლიაშვილის, ზურაბ ანჯაფარიძის, ცაცა ამირეჯიბის, დავით ჯავრიშვილის, მარო თარხნიშვილის, ალიო მირცხულავას, დოდო ანთაძის, დიმიტრი და ბაბო მჭედლიძეების, ვერა დავიდოვას, მერი ერგნელის და სხვა მოღვაწეთა პირადი ფონდები.

სარესტავრაციო ლაბორატორიაში ხდება დოკუმენტების აღდგენა, წარმოებს პირადი ფონდების მიკროფირზე გადაღება.

არქივის მუშაკებს ურთიერთობა აქვთ დამყარებული საზღვარგარეთ მცხოვრებ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწე ქართველებთან, ქართველოლოგებთან, ქართული კულტურით დაინტერესებულ პირებთან. ახლახან არქივის დირექტორმა ვახტანგ გურგენიძემ პარიზიდან მიიღო წერილი, რომელშიც ცნობილი კომპოზიტორის ერეკლე ჯაბადარის ძმა ილია ჯაბადარი იტყობინება, რომ სულ მალე არქივს კიდევ დამატებით გამოუგზავნის მათს ოჯახში დაცულ თავისი ძმის ნოტებსა და წერილებს.

ფონდების გამდიდრების მიზნით, არქივის მუშაკები ხშირად აწყობენ საიუბილეო შეხვედრებს ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებთან. ამ შეხვედრებზე იწვევენ თავიანთ აქტივს, სამეცნიერო საბჭოს წევრებს.

— ასეთი შეხვედრების დროს — გვითხრა დოკუმენტების ინფორმაციის საძიებო სისტემის და სამეცნიერო გამოყენების განყოფილების გამგემ ნანა ქიქოძემ, — უშუალო კონტაქტი მყარდება ჩვენს ღვაწლმოსილ ადამიანებთან, ისინი ეცნობიან არქივის მუშაობას, იგებენ, რა სასარგებლო საქმე კეთდება, და თავიანთ ოჯახებში დაცულ ფონდებს სიამოვნებით გადმოგვცემენ.

ერთ ასეთ შეხვედრაზე, რომელიც ცნობილი დირიჟორის ევგენი მიქელაძის დაბადების 75-ე წლისთავს მიეძღვნა, გაირკვა, რომ ბევრ მისი თაობის მუსიკოსს საინტერესო მასალები ჰქონია ე. მიქელაძის მოღვაწეობის შესახებ, და გადაწყდა იმ მასალების მოძიება. ამ მიზნით არქივის თანამშრომლები ლენინგრადში ეწვივნენ ცნობილ მევიოლინესა და დირიჟორს ალექსანდრე ნეიმანს, რომელიც ე. მიქელაძის მიერ გამართულ კონცერტებში მონაწილეობდა. მოხუცი უსაზღვროდ გაახარა საქართველოდან ჩასულთა მისიამ და მთელი თავისი დოკუმენტები უსასყიდლოდ გადასცა მათ.

ჩვენს მოღვაწეთა პირადი ფონდები კიდევ იმითაც არის სასარგებლო, რომ ერთგვარად ავსებენ იმ დაწესებულებათა ისტორიას, სადაც წლების განმავლობაში მუშაობდნენ.

ეფურცლავთ კატალოგს და სიამოვნებით ვეცნობით ცნობილი კინომსახიობის დიმიტრი ყიფიანის, კომპოზიტორის, პიანისტისა და პედაგოგის ალიოზ მიზანდარის, ქართული საგუნდო ხელოვნების ერთ-ერთი მოღვაწის გიორგი ხახანაშვილის, ცნობილი ლოტბარის იოსებ რატილის, კომპოზიტორ ვანო გოკიელის, კინორეჟისორ კონსტანტინე პიპინაშვილის და სხვათა პირად ფონდებს. ახლახან არქივმა შეიძინა მწერალ ლევან გოთუას ნაწარმოებების ხელნაწერები, ფოტოსურათები, მისი ადრინდელი ხანის ლექსები, მწერლის დეპუტატობის მოღვაწეობის პერიოდის მასალები.

ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური არქივის ფონდები დღითი დღე, სულ ახალი და ახალი მასალებით მდიდრდება.

ლ. ხუგულური.

● ●

სურათზე: გალაკტიონ ტაბიძე კახელ მწყემსებთან აბულის მთაზე 1955 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

საერთაშორისო ცხოვრება
დედამიწის ზურგზე

27 ივნისი

სრული ერთსულოვნება

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის სესია

ბერლინი. რესპუბლიკის დედაქალაქის სასახლეში გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის სესია. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატებმა ერთსულოვნად აირჩიეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ე. ჰონეკერი.

თავის გამოსვლაში ე. ჰონეკერმა განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მოქმედების საფუძველი კვლავაც იქნება რესპუბლიკაში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შემდგომი წარმატებული მშენებლობა და მშვიდობის დაცვისათვის ბრძოლა. თანამედროვე პირობებში, თქვა ორატორმა, არა არის რა იმაზე აქტუალური ამოცანა, ვიდრე საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება. ეს აზრი მკაფიოდ არის გამოხატული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვაში მთელი მსოფლიოს პარლამენტებისა და ხალხებისადმი, რომლითაც გამოვიდა მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. ჩვენ სულითა და გულით მივესალმებით და მხარს ვუჭერთ ამ მოწოდებას და ყველაფერს ვიღონებთ მისი კეთილშობილური მიზნების მიღწევისათვის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ჰ. ზინდერმანი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ვ. შტოფი.

მილიტარისტული მოწოდება

ვაშინგტონი. „ქორების თავყრილობა“ — სხვაგვარად ვერ უწოდებ „ამერიკის შეერთებული შტატების მომავალი საგარეო პოლიტიკის“ შესახებ გამართული დისკუსიის მონაწილეებს. დისკუსია მოეწყო დედაქალაქის ფეშენებელურ სასტუმროში „პაიტ რიჯენსში“. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ყოფილი თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ზ. ბჟეზინსკი, სენატორები გ. ჯექსონი, დ. მონიჰენი და მათი მსგავსი მოღვაწენი ორი საათის მანძილზე ვარჯიშობდნენ აშკარა ანტისაბჭოურობაში და მოითხოვდნენ ამერიკის სამხედრო ძლიერების შემდგომ ზრდას.

ეს „ფორუმი“ მოაწყო ეგრეთ წოდებულმა „კოალიციამ“ დემოკრატიული უმრავლესობისათვის. მისი მიზანია გააკრიტიკოს ახლანდელი რესპუბლიკური ადმინისტრაციის პოლიტიკა, მაგრამ არა საერთაშორისო ასპარეზზე მისი აშკარად გამოხატული მილიტარიზმისა და ავანტიურიზმისათვის.

პირწავარდნილ ანტისაბჭოელთა თავყრილობა

კოალიციის წევრების ახლანდელი გამონათქვამები მოწმობს, რომ ცდილობენ კიდევ უფრო ჩაითრიონ ამერიკის შეერთებული შტატები სამხედრო მზადების ჭაობში. მაგალითად სენატორმა ჯექსონმა მოუწონა რეიგანის ადმინისტრაციას, რომ „იგი მტკიცედ წინააღუდგა საბჭოთა კავშირს“, ზრდის სამხედრო არსენალებსა და ახორციელებს პოლიტიკას ძალის პოზიციიდან.

და მაინც, ისეთი „ქორები“ როგორიც ჯექსონია და სამხედრო-სამრეწველო წრეები, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენს, ახლანდელი ადმინისტრაციის მილიტარისტულ სწრაფვას საკმარისად არ მიიჩნევენ. მაგალითად, სენატორმა კატეგორიულად მოსთხოვა თეთრ სახლს არავითარი მოლაპარაკება არ დაიწყოს შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მანამ, სანამ დასავლეთ ევროპაში არ განალაგებენ საშუალო სიშორის ახალ ამერიკულ რაკეტულბირთვულ იარაღს.

ჯექსონისა და მის მსგავსთა აშკარა გააფთრებას იწვევს ამ მილიტარისტული გეგმების წინააღმდეგ გაჩაღებული მძლავრი საპროტესტო მოძრაობა, რომელმაც მოიცვა დასავლეთ ევროპის ქვეყნები. დასავლეთ ევროპის საზოგადოების ამ მოძრაობას ჯექსონმა „საფრთხე უწოდა, რომელთან ბრძოლისთვისაც ახლანდელმა ადმინისტრაციამ, როგორც მან თქვა, უნდა შეიმუშაოს განსაკუთრებული „სტრატეგია“.

ასეთივე სულისკვეთებით იყო გამსჭვალული „დისკუსიის“ სხვა მონაწილეთა გამოსვლებიც. პირწავარდნილ რეაქციონერთა ეს თავყრილობა შეიძლება არც გვეხსენებინა, იგი ასეთი დამახასიათებელი რომ არ იყოს ვაშინგტონში ახლა გამეფებული მილიტარისტული თავაწყვეტილობისა და პათოლოგიური ანტისაბჭოურობის ატმოსფეროსათვის.

● იტალია

მთავრობის კრიზისი

დამთავრდა კონსულტაციების მეორე ტური

რომი. იტალიის რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა ჯ. სპადოლინიმ, რომელიც იტალიის მთავრობას აყალიბებს, დაამთავრა კონსულტაციების მეორე ტური იმ პარტიების ხელმძღვანელებთან, რომლებიც უნდა შევიდნენ ახალ კაბინეტში. ესენია ქრისტიანულ-დემოკრატიული, სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული, რესპუბლიკური და ლიბერალური პარტიები.

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ჯ. სპადოლინიმ განაცხადა, რომ ამ პარტიების ხელმძღვანელებმა მთლიანად მოუწონეს მთავრობის პროგრამის პროექტი. მან თქვა, რომ ორი დღის განმავლობაში მისი შემუშავება დამთავრდებაო.

მაგრამ იმ პარტიებს შორის, რომლებიც განზრახულია შეიყვანონ ახალ კაბინეტში, კვლავ უთანხმოებაა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ქვეყანაში გამართული ნაწილობრივი ადმინისტრაციული არჩევნების შემდეგ. ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, რომ სოციალისტებს, რომლებმაც ამ ხმის მიცემაში გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს, განზრახული აქვთ იბრძოლონ ახალ კაბინეტში უფრო ფართო წარმომადგენლობისათვის.

სესხი — ჩინეთს

ვაშინგტონი. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკმა, რომელსაც კონტროლს უწევს შეერთებული შტატები, გამოაცხადა გადაწყვეტილება ჩინეთს ასესხოს 200 მილიონი დოლარი. ეს ბანკის პირველი ამგვარი ნაბიჯია პეკინის მიმართ 1980 წლის მაისში რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკში ჩინეთის შესვლის დროიდან.

ბანკის ოფიციალური მონაცემებით, დაპირებული თანხის ნახევარი ჩინეთს გამოეყოფა 20 წლის ვადით რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის არხებით, მეორე ნახევარი — 50 წლით რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის შვილეული ორგანიზაციის — განვითარების საერთაშორისო ასოციაციის ხაზით. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკმა საკმაოდ შეღავათიანი პირობები დაუწესა ჩინეთს სესხის დაფარვისათვის.

მეთვალყურენი ყურადღებას მიაპყრობენ, რომ საერთაშორისო ბანკის გადაწყვეტილება ჩინეთის ფინანსური დახმარების შესახებ მიღებულია მას შემდეგ, რაც პეკინში დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ა. ჰეიგის ვიზიტი.

● ●

ვიზიტად დელიში

დელი. აქ ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰუან ჰუა, რომელიც მოლაპარაკებას გამართავს ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან პ. ნარასიმჰა რაოსთან. ინდოეთის პრესის ცნობით, მოლაპარაკების დროს განიხილავენ ორმხრივი ურთიერთობის საკითხებს, მათ შორის სასაზღვრო საკითხს და სხვა პრობლემებს.

● სად რა მოხდა

შეტაკება ბიმბილაში

ლონდონი. 90 კაცი დაიხოცა განის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ ბიმბილას რაიონში კოკომბისა და ნანუმბის ეთნიკურ ჯგუფებს შორის შეტაკების დროს, იუწყება რეიტერის სააგენტო.

ქალაქში წესრიგის დასამყარებლად განის მთავრობა იძულებული გახდა ჯარი გაეგზავნა, ამავე დროს ბიმბილაში ჩავიდა სამედიცინო პერსონალი, გაიგზავნა მედიკამენტები, სურსათი და ტანსაცმელი.

შეტაკების უშუალო მიზეზი ჯერჯერობით გაურკვეველია.

დააპატიმრეს ოფიცრები

მადრიდი. ესპანეთში დააპატიმრეს ექვსი კაცი, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან ამა წლის თებერვალში რეაქციული მხედრიონის მიერ განხორციელებულ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში. მათ შორის სამი ოფიცერია — პოლკოვნიკები ა. სიკრე კანუტი და რ. გარსიტორენა, მაიორი რ. საენს დე ინესტრილიასი და სამი სამოქალაქო პირი.

● ბუნების ჭირვეულობა

წყალდიდობა, ქარიშხალი

ანკარა. 27 კაცი დაიღუპა და ათობით მცხოვრები უსახლკაროდ დარჩა თურქეთის ცალკეულ რაიონებში წყალდიდობისა და მოულოდნელი ავდრების გამო. ბოლო კვირაში აღმოსავლეთ ანატოლიაში კოკისპირული წვიმები მოვიდა, რომელსაც თან ახლდა ქარიშხალი. ძლიერ დაზიანდა საცხოვრებელი შენობები, კომუნიკაციები, სასოფლო-სამეურნეო ნათესები. ავდარი კვლავ გრძელდება მარმარილოს ზღვის სანაპიროზე, ქვეყნის მთელ რიგ აღმოსავლეთ და ცენტრალურ რაიონებში.

● შემთხვევა

ავაზები... დედაქალაქში

ყუალა-ლუმპური. ორი შავი ავაზა, რომლებიც კერძო სამხეციდან გაიქცნენ, უკვე ერთი კვირაა აწიოკებენ ტაილანდის დედაქალაქის მცხოვრებლებს. მათი „კერძი“ გახდა ათობით ძაღლი და სხვა შინაური ცხოველი. ხაფანგებითა და სპეციალური სატყუარებით მტაცებელთა დაჭერა წარუმატებლად დამთავრდა. როგორც იუწყებიან, ბანგკოკის ხელისუფლებამ შექმნა შეიარაღებულ პოლიციელთა და მონადირეთა რაზმები, რომლებსაც მიეცათ განკარგულება, რადაც უნდა დაუჯდეთ დახოცონ მტაცებლები.

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

□ ლუქსემბურგი

მარცხით დამთავრდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მინისტრთა საბჭოს ენერგეტიკის მინისტრთა დონეზე გამართული სესია, რომლის დროსაც განიხილეს საკითხი ეგრეთ წოდებული „ნავთობის ბანკის“ შექმნის შესახებ. როგორც მისი შექმნის ინიციატორებს მიაჩნიათ, „ნავთობის ბანკმა“ დასავლეთ ევროპის ქვეყნები უნდა დაიცვას რეგულარული „ნავთობის კრიზისებისაგან“ ნავთობის ურთიერთმიწოდების გზით.

მიღებული ცნობების თანახმად, განხილვის დროს მინისტრებს შორის გამოვლინდა არსებითი უთანხმოებანი.

ათი ქვეყნის მინისტრებმა, რომლებიც ერთიან აზრს ვერ დაადგნენ, მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხი განხილვისა და „ხელახალი დამუშავებისათვის“ გადაეცეს ევროპის გაერთიანებათა კომისიას.

□ კაირო

დამთავრდა ეგვიპტის დედაქალაქში ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მოადგილის ფ. კარლუჩის ვიზიტი.

თუმცა ამ ვიზიტის მიზნები და შედეგები საიდუმლოებით არის მოცული, მაგრამ პოლიტიკური მეთვალყურენი აღნიშნავენ, რომ პენტაგონის მაღალი თანამდებობის წარმომადგენლის მორიგი ვოიაჟი უშუალოდ დაკავშირებულია ამერიკა-ეგვიპტის სამხედრო თანამშრომლობის გაფართოების გეგმებთან და ოკეანისგაღმიდან ეგვიპტეში იარაღის მიწოდების ზრდასთან.

□ ტოკიო

ამერიკის სამხედრო ხელისუფლებმა უარი თქვეს შეეშვათ იაპონიის კომუნისტური პარტიისაგან იაპონიის პარლამენტის დეპუტატთა დელეგაცია ამერიკის შეერთებული შტატების იოკოტას სამხედრო-საჰაერო ბაზის ტერიტორიაზე. იაპონიის კომპარტიის წარმომადგენლები აპირებდნენ გამოეძიებინათ პრესაში გამოქვეყნებული ცნობები იმის თაობაზე, რომ ამ ბაზაზე უკანონოდ ინახება ამერიკის ბირთვული იარაღი.

სსრ კავშირი — საფრანგეთი

ნაყოფიერი თანამშრომლობა

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სააქციო საზოგადოება „სოგო“ 1969 წელს დაარსდა. მან საქმიანობა საქონლის შედარებით მცირე ჯგუფით — ეთერზეთებითა და სინთეზური სურნელოვანი ნივთიერებებით დაიწყო, ახლა კი ნომენკლატურა მკვეთრად გაიზარდა და ქიმიურ და ფარმაცევტულ საქონელს მოიცავს. საზოგადოება აქტიურად მონაწილეობს ორი ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობაში.

საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაში, სსრ კავშირისა და საფრანგეთის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის გაღრმავებაში „სოგოს“ წვლილის აღიარებაა მისი დაჯილდოება საერთაშორისო პრემიით — „ოქროს მერკურით“.

სურათზე: „სოგოს“ შენობაში მოწყობილი საქონლის მუდმივი ექსპოზიციის ერთ-ერთ განყოფილებაში.

საქდესის ფოტო.

დამატებითი ცნობა

ჯაშუშები დიპლომატის ნიღბით

ლუსაკა. როგორც ცნობილია, ზამბიის მთავრობამ ჯაშუშობისა და ძირგამომთხრელი საქმიანობის ბრალდებით ქვეყნიდან გააძევა ამ ქვეყანაში ამერიკის საელჩოს თანამშრომლები ჯ. ფინი და მ. ობრაიენი. ოთხ სხვა ამერიკელს — ფ. ლუნდალს, ნ. სმიტს, რ. სიმპსონსა და უ. ლოუეტიერს, რომლებიც აქედან წინათ გაემგზავრნენ, აეკრძალათ ზამბიაში ჩამოსვლა.

გამოირკვა, რომ დიპლომატებად აქ მოკალათებული ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ეს აგენტები ამზადებდნენ სახელმწიფო გადატრიალებას, კრეფდნენ სადაზვერვო ცნობებს ზამბიის შეიარაღებული ძალების შესახებ და ინფორმაციას არმიაში განწყობილების თაობაზე, ცდილობდნენ შეეღწიათ პროფკავშირებში და განეწყოთ ისინი მთავრობის წინააღმდეგ. მათთან ერთად მოქმედებდნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმის საიდუმლო პოლიციის წარმომადგენლებიც.

ამერიკის შეერთებული შტატების ლუსაკის საელჩო ძირგამომთხრელ აქციათა ცენტრი გახდა არა მარტო ზამბიის წინააღმდეგ, არამედ სამხრეთ აფრიკის სხვა ქვეყნების წინააღმდეგაც, წერს გაზეთი „ტაიმს ოფ ზამბია“. ამ რეგიონში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დახმარებით ვაშინგტონის მიერ წამოწყებული საშიში „დიპლომატიური“ თამაშის მიზანი ის არის, რომ გაამწვავოს ვითარება „ფრონტისპირა სახელმწიფოებში“, დააკანონოს ნამიბიის უკანონო ოკუპაცია და აპარტეიდის რეჟიმი — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, წერს გაზეთი.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, რომელსაც თავის ქსელში მოუქცევია მთელი მსოფლიო, ახორციელებს პროგრესული დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის ძირის გამომთხრის ოპერაციებს, წერს გაზეთი „ზამბია დეილი მეილი“. ამას ადასტურებს მოზამბიკსა და ზამბიაში ჯაშუშური ბუდეების, სხვა ქვეყნებში ამერიკის სპეცსამსახურების ხრიკების მხილება.

ზამბიაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტურის გააქტიურების მიზეზი ცხადია: ვაშინგტონში არ მოსწონთ ზამბიის მთავრობის დამოუკიდებელი, მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, აღნიშნავს გაზეთი. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას სურს ხელისუფლების სათავეში ჩააყენოს დამჯერი რეაქციული რეჟიმი, მაგრამ დროა შეერთებულმა შტატებმა შეიგნოს, რომ ამგვარი გეგმები განწირულია ჩასაფუშად, დაასკვნის „ზამბია დეილი მეილი“.

● ვიცე-პრეზიდენტის განცხადება პრეზიდენტის ლოცვა-კურთხევით ● ავსტრიის საზოგადოებრიობა აღშფოთებულია

უცერემონიო ჩარევა

ვაშინგტონი. შეერთებული შტატები უცერემონიოდ ჩაერია საფრანგეთის საქმეებში.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა მწვავედ გააკრიტიკა ფ. მიტერანის მთავრობა საფრანგეთის მთავრობის შემადგენლობაში საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა შეყვანასთან დაკავშირებით, და, დაემუქრა, რომ ეს „ზემოქმედებას მოახდენს ორი ქვეყნის ურთიერთობის შინაარსსა და ტონზე“. თავის განცხადებაში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა კვლავ დაადასტურა ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წრეების ანტიკომუნისტური პოზიცია და საერთოდ გაილაშქრა დასავლეთ ევროპის ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ მთავრობაში კომპარტიის წარმომადგენელთა შეყვანის წინააღმდეგ.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს, ეს განცხადება პირადად პრეზიდენტმა რ. რეიგანმა მოიწონა.

ვაშინგტონში სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებასთან ერთად „ამერიკის შეერთებული შტატების შეშფოთება“ საფრანგეთის ახალი მთავრობის შემადგენლობაში კომუნისტთა შეყვანასთან დაკავშირებით უბოდიშოდ გამოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა.

დედაქალაქის გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადების გამო წერს: „მან გამოხატა ადმინისტრაციის აშკარა შეცბუნება, რომელმაც ანტიკომუნიზმი თავისი საგარეო პოლიტიკის საფუძვლად აქცია, მაგრამ ამავე დროს ცდილობს კარგი ურთიერთობა დაამყაროს მიტერანთან მას შემდეგ, რაც მისმა სოციალისტურმა პარტიამ კონტროლი დაუწესა პრეზიდენტობასა და პარლამენტს“.

ადმინისტრაცია, ხაზს უსვამს გაზეთი, შეწუხებულია იმით, რომ ფრანგებმა „პრეცედენტი შექმნეს დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისათვის“.

პარიზი. ფრანგები აღშფოთებული არიან საფრანგეთის საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების უცერემონიო ჩარევით იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთის ახალ მთავრობაში შეყვანილი არიან კომუნისტი მინისტრები.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფ. მიტერანმა, რომელიც შეეხო საფრანგეთის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის უხეშ გაფრთხილებას, განაცხადა: „ამერიკელთა რეაქცია მათი საქმეა. მაგრამ გადაწყვეტილებებს საფრანგეთში მე ვიღებ. აზრადაც არ მომსვლია დამესვა კითხვა — შეესაბამება თუ არა ჩემი გადაწყვეტილება ამა თუ იმ ქვეყნის სურვილებსა თუ მოთხოვნებს. ამერიკელებს ჯერ ვერ შეუგნიათ და არ ესმით საფრანგეთში მიმდინარე ცვლილებები.

ამბობენ, რეიგანი გაბრაზდაო. მერე რა? რეიგანმა დააცემინა. რა მოხდა მერე? სრულიადაც არ ვაპირებ ყოველი მისი დაცემინების გამო სმენაზე დავუდგე.

ფ. მიტერანმა კატეგორიულად უარყო ხმები იმის შესახებ, რომ იგი, შესაძლოა, ვაშინგტონში შეჩერდება ოტავაში შვიდი წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნის ხელმძღვანელთა შეხვედრის შემდეგ, რომელიც 20-21 ივლისისათვის არის გათვალისწინებული.

ვენა. ავსტრიის საზოგადოებრიობა დიდად აღაშფოთა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის იგლბერგერის უბოდიშო ჩარევამ საქმეებში, რომლებიც მხოლოდ ავსტრიელ ხალხს ეხება. ავსტრიის ქალაქ ალპბახში გამოსვლის დროს ვაშინგტონის ამ ემისარმა თქვა, ავსტრია ამერიკის „ბირთვული ქოლგის ქვეშ“ იქნებაო.

როგორც ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა გუსტავ ლოისტლმა აღნიშნა, ამერიკის ადმინისტრაცია კვლავინდებურად იმით ხელმძღვანელობს, რომ ბირთვული კონფლიქტის შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატების მხედრიონი ბირთვულ დარტყმებს აგემებს ავსტრიის ქალაქებსაც, რაც პენტაგონის გეგმებით არის გათვალისწინებული.

ამრიგად, ხაზგასმით აღნიშნა მან, ნეიტრალური ავსტრიის მნიშვნელოვანი ნაწილი ამერიკელ ბირთვულ მანიაკთა ნება-სურვილით უდაბნოდ გადაიქცევა. რა უფლებით უნდა განახორციელოს შეერთებულმა შტატებმა ასეთი ბარბაროსული მოქმედება ნეიტრალური ქვეყნის მიმართ? სავსებით შეუწყნარებელია, როცა ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წარმომადგენელი ნეიტრალურ ქვეყანაში აკეთებს ისეთ განცხადებებს, რომლებიც ყოვლად დაუშვებელი ჩარევაა ავსტრიის რესპუბლიკის მუდმივი ნეიტრალიტეტის პოლიტიკაში.

შვეიცარიის დღეები საქართველოში

26 ივნისს „შვეიცარია-სსრ კავშირის“ ასოციაციის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა ჩვენს რესპუბლიკაში გამართულ შვეიცარიის დღეებში, მიიღეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში.

თბილისის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ნეფედოვმა სტუმრებს გააცნო მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქის — საქართველოს დედაქალაქის ისტორია, ილაპარაკა თბილისის დღევანდელ ცხოვრებაზე, მის ეკონომიკაზე, მეურნეობასა და კულტურაზე.

დელეგაციის წევრთა სახელით „შვეიცარია-სსრ კავშირის“ ასოციაციის პრეზიდენტმა არმან ფორელმა მადლობა გადაიხადა გულღია მასპინძლობისათვის. „თბილისმა მოგვაჯადოვა, — თქვა მან. — თქვენს დედაქალაქში ფაქიზად და ჰარმონიულად არის შეხამებული სიძველე და თანამედროვეობა. შთამბეჭდავია მცხოვრებთა დამოკიდებულება მშობლიური თბილისისადმი, ის, თუ რა სიყვარულით იცავენ მის თავისებურებას, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ სახეს. ჩვენთვის სიახლე იყო იმის შეტყობა, რომ ქალაქი ვითარდება გეგმაზომიერად, მოფიქრებულად, მოსახლეობის ზრდისა და რელიეფის გათვალისწინებით. ჩვენში მიწის კერძო საკუთრების პირობებში მისი საარაკო სიძვირის გამო ქალაქის განაშენიანება ხდება მეტად მჭიდროდ, უნიფიცირდება და საკუთარ სახეს კარგავს“.

იმავე დღეს შვეიცარიელმა სტუმრებმა დაათვალიერეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ექსპოზიციები, ეწვივნენ საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რომელიც საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების კოლექტიური წევრია. შვეიცარიელმა მუსიკოსებმა პიეტრო და მირეი ბიანკებმა აქ კონცერტი გამართეს. (საქინფორმი).

ჯანმრთელობის პროგრამა მოქმედებს

ტყიბული. (საქ. კორ.). აქ შემუშავდა მეშახტეთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ხუთწლიანი კომპლექსური გეგმა. იგი ითვალისწინებს მიწისქვეშა სანგრევებში მომუშავეთა პერიოდულ სამედიცინო შემოწმებას. მეშახტეებსა და მათი ოჯახის წევრებს მთლიან დისპანსერულ მომსახურებას გაუწევენ.

საწარმოო გაერთიანება „საქნახშირი“ თავისი სამედიცინო-სანიტარიული ნაწილისათვის აშენებს ახალ სამკურნალო კომპლექსს. იგი საექსპლოატაციოდ მიმდინარე ხუთწლედში გადაეცემა. ჯანმრთელობის ხუთწლიანი პროგრამის შესაბამისად ეწყობა სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტი, რომელსაც ექნება დარბაზი. აქ სამკურნალო ფიზკულტურის თანამედროვე მეთოდებით იმკურნალებენ ტრავმირებული პაციენტები და ინვალიდები. მედსანაწილის შენობაში გათვალისწინებულია მინერალური წყლის აბაზანების მოწყობა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დიდი სამამულო ომის ვეტერანების სამედიცინო მომსახურებას. ყველა ისინი დისპანსერულ მკურნალობას გაივლიან.

ამ დღეებში სამედიცინო-სანიტარიულ ნაწილში (მთავარი ექიმი — ი. გოგიშვილი) სასიხარულო ცნობა მოვიდა. გასული წლის მუშაობის მაჩვენებლებით მისი კოლექტივი გაერთიანება „საქნახშირმა“ დააჯილდოვა პრემიით.

ვ. ცირეკიძე.

მხატვრის ღიმილი







უსიტყვოდ

მხატვარი ლ. მართაშვილი.

ყაბახი

კვლავაც გვწვეოდე, „სპორტის დედოფალო!“

გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე დამთავრდა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მძლეოსანთა ტრადიციული მატჩი. ეს შეხვედრა მოიგეს სტუმრებმა ანგარიშით 189:179.

კვლავ თავი ისახელა ამ მატჩში 100 მეტრზე რბენაში გაზეთ „კომუნისტის“ პრიზის მფლობელმა ფრანკ ემელმანმა (გდრ). შეგახსენებთ, მან გუშინწინ ამ დისტანციაზე წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგით (10,16 წამი) დაამთავრა რბენა. ამჯერად ემელმანმა 200 მეტრზე რბენაში სცადა ძალები და აქაც არავის დაუდო ტოლი. მან ეს მანძილი 20,48 წამში გაირბინა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ამ მატჩის მონაწილეთაგან სპრინტერულ დისტანციებზე მას ბადალი არ ჰყავდა. აღსანიშნავია ისიც, რომ გერმანელმა სპორტსმენმა მატჩების მიღწევა (იგი ეკუთვნოდა მის თანამემამულე ო. რაისს — 20,67) 0,19 წამით გააუმჯობესა.

ამ მატჩების საუკეთესო შედეგები თითო სანტიმეტრით გააუმჯობესეს სიმაღლეზე მხტომელებმა: ვაჟთა შორის საბჭოთა სპორტსმენმა ვალერი სერედამ იმარჯვა — 230 სმ. ადრეული (1979 წლის) მიღწევა (229 სმ) ეკუთვნოდა გუშინ გამართული შეჯიბრების მონაწილეს რ. ბაილშმიდტს (გდრ). ამჯერად ბაილშმიდტმა მხოლოდ 224 სმ დაძლია. ქალთა შორის საუკეთესო იყო გერმანელი კერსტინ დეტნერი (196 სმ). მან თანამემამულე რ. აკერმანის (1978 წლის მიღწევა — 195 სმ) შედეგი გააუმჯობესა.

საბჭოთა და გერმანელ მძლეოსანთა მატჩების მიღწევები გააუმჯობესეს აგრეთვე ელენ ნოიმანმა (გდრ — 400 მეტრზე ქალთა თარჯრბენი — 55,39 — 0,25 წამით უკეთესი შედეგი), ვოლფგანგ შმიდტმა (გდრ—ვაჟთა შორის ბადროს ტყორცნა — 68,02 სმ — 1,18-ით), ბერბელ ვოკელმა (გდრ — ქალთა შორის 200 მეტრზე რბენაში — 21,9 — 0,56 წამით), იური სედიხმა (სსრ კავშირი — უროს ტყორცნაში — 80,18 მ 36 სმ-ით), სსრ კავშირის ნაკრებმა (4×400 მეტრზე ქალთა ესტაფეტაში — 3.22,73 — 0,7 წამით) და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმა (4×400 მეტრზე ვაჟთა ესტაფეტაში — 3.03,77 — 0,53 წამით).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენი ხაგენ მელცერი, რომელმაც 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში მართლაც რომ ივაჟკაცა. თავდაპირველად დაწინაურდა საბჭოთა მძლეოსანი ალექსანდრე ვორობეი. ორიოდე წრეც და, იგი ალბათ ფინიშთან პირველი იქნებოდა. ამასობაში ერთ-ერთი წინაღობის გადალახვისას მისი მეტოქე მელცერი წაიქცა და წარმატებაში ვორობეის თითქოს ესეც უნდა დახმარებოდა. სწორედ ამ დროს საოცრად იმარჯვა მელცერმა. იგი მყისიერად წამოხტა და უკვე დაშავებული ფეხით ჯერ წამოეწია, შემდეგ კი გაუსწრო მეტოქეს, და დისტანცია გამარჯვებით დაამთავრა — 8.31,18. ვორობეი მას 0,42 წამით ჩამორჩა და მეორე ადგილით დაკმაყოფილდა.

გაგაცნობთ გუშინდელი დღის ასპარეზობაში სხვა გამარჯვებულებსაც: **გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან** — ილონა სლუპიანეკი (ქალთა შორის ბირთვის კვრა — 21,09 მ), ფოლკერ ბიოკი (400 მეტრზე ვაჟთა თარჯრბენი — 49,14), მარტინა შტოიკი (ქალთა შორის 800 მეტრზე რბენა — 1.58,38), დეტლეფ ვაგენკნეხტი (800 მეტრზე ვაჟთა რბენა — 1.48,32), პეტრა ფილკი (ქალთა შორის შუბის ტყორცნა — 65,30 მ), ჰანს-იორგ კუნცე (5000 მეტრზე ვაჟთა რბენა — 14,01,54); **სსრ კავშირიდან** — ოლგა დვირნა (3000 მეტრზე ქალთა რბენა — 8.45,60), შამილ აბიასოვი (ვაჟთა შორის სიგრძეზე ხტომა — 8.08 მ), ვასილი ისაევი (სამხტომი — 16,92 მ).

მაშ ასე, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მძლეოსანთა მატჩი დამთავრდა. ამ ტრადიციული შეხვედრის ჩატარება დავალებული ჰქონდა საქართველოს სპორტკომიტეტს, რომელმაც შესანიშნავად გაართვა თავი მის ყველა ორგანიზაციულ მხარეს და კიდევ ერთხელ აღგვიძრა სურვილი თბილისში მძლეოსანთა ასპარეზობების რაც შეიძლება ხშირად ხილვისა. სხვა არა იყოს რა, სწორედ ასეთი და მისი სადარი შეჯიბრებები მიიზიდავს ახალგაზრდობას მძლეოსნობაში სამეცადინოდ.

ჯ. ენუქიძე.



სურათზე: სვეტლანა ვანიუშინა სიგრძეზე ხტომაში ასპარეზობისას. მან 672 სმ დაძლია და მატჩში გამარჯვებულ თანამემამულე ტატიანა სკაჩკოს ოდნავ ჩამორჩა.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ავსტრიული ყალიბის მედლები

ავსტრიის დედაქალაქმა ვენამ ამ დღეებში უმასპინძლა პროფკავშირების მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს, სადაც ავსტრიის სპორტული კავშირის მიწვევით ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებიც, თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღზრდილები მაია ნადიბაიძე და ირინე ქემხუეჯინაც (ორივე — „ქარიშხალა“) მონაწილეობდნენ.

— ავსტრიის საკმაოდ წარმომადგენლობით შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზეს საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის ნ. სალაძის აღზრდილებმა **ნადიბაიძემ და ქემხუეჯინამ.** — განაცხადა სსრ კავშირის მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრმა გ. ვასილიევამ.—**მათ შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს მრავალჭიდში.** მაგრამ აქ მარტო ადგილები როდია მნიშვნელოვანი. **როგორც მაიამ, ისე ირინემ პირველ გამოსვლისთანავე მოხიბლეს ავსტრიელი მაყურებლები და მათ გამოსვლებს თან სდევდა მოწონების შეძახილები და ყვავილების თაიგულები.**

ნადიბაიძეს და ქემხუეჯინას მრავალჭიდში მოპოვებული წარმატებებისათვის გადაეცათ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, აგრეთვე სპეციალური პრიზები — ბროლის თასები. ცალკეულ ვარჯიშებში მაიამ აგრეთვე მიიღო 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს, ხოლო ირინემ — თითო-თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი. მრავალჭიდში პირველი ადგილი წილად ხვდა ჩეხოსლოვაკიელ დანიელა ბოშანსკაიას.

აი რა თქვა თვით მწვრთნელმა ნელი სალაძემ, რომელიც თან ახლდა სპორტსმენებს: — ავსტრიის საერთაშორისო ტურნირი ადრეულ წლებშიც იღბლიანი იყო ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებისათვის. ჯერ იყო და, ქართული მხატვრული ტანვარჯიშის აღიარებულმა ლიდერმა ირინე გაბაშვილმა თავისი სპორტული კარიერის დასაწყისშივე სწორედ აქ მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებას (მესამე ადგილი). მომდევნო წელს ასეთივე შედეგი გაიმეორა თბილისელმა მარინე ხალილოვამ და, რაც მთავარია, მან აჯობა მსოფლიო ჩემპიონს ბულგარელ ილიანა რაევას. მით უფრო სასიხარულოა საქართველოს ნორჩ ტანმოვარჯიშეთა დღევანდელი წარმატება, ვინაიდან სწორედ ნადიბაიძე და ქემხუეჯინა იქნებიან მხატვრულ ტანვარჯიშში ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის ლიდერები მოახლოებულ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე.

ა. იმერლიშვილი.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ნება მომეცით, თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა მოვახსენო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ამხანაგებსა და მეგობრებს, ყველას, ვინც ჩემი დაბადების 75-ე და სამეცნიერო-პედაგოგიური შრომის 50-ე წლისთავი აღნიშნა და მომილოცა.

დ. ჯანელიძე.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმი

აცხადებს კონკურსს კამერულ გუნდში პირველი სოპრანოს ჯგუფის მხახიობის ერთი ადგილის დასაკავებლად.

კონკურსი ჩატარდება 1981 წლის 29 ივლისს.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის საკონკურსო კომისიას.

380004 — თბილისი, რუსთაველის 22, ტელ. 99-86-09.

ტელევიზია

28 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — მულტიპლიკაციური ფილმი „ექიმი თხუნელა“, 10.00 — „მოამბე“, 10.30 — „მაღვიძარა“ (მ.), 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“, 11.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვარჯიში“, 12.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45 — შევისწავლოთ რუსული ენა, 13.15 — მულტიპლიკაციური ფილმი „ხელმარჯვე ოსტატი წყალქვეშ“, 13.30 — ტელეკურსელთათვის — ქართული ენა და ლიტერატურა (სტუდიაშია დოცენტი რ. ენუქაშვილი), 14.00 — გადაცემა „ქართული სამშენებლო მეცნიერების პატრიარქი“ — ვ. ზავრიევი (გამეორებით), 14.55 — „ვესტნიკი“, 15.25 — „კინოაფიშა“, 15.50 — „ბუნების კარი“, 16.35 — „საესტრადო პანორამა“, 17.10 — „ილუზიონი“, 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.), 19.45 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 20.55 — „მოამბე“, 21.15 — სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „საფეხბურთო მიმოხილვა“ (მ.), 23.05 — გიორგი შატბერაშვილის საიუბილეო საღამოს რეპორტაჟი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 08036 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20